საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 23 დეკემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფ'სი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. მეოთხე გვერდზე 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 6—62.

№ 292 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებ სა № 292

26 მაისი

? ? ?

(3345 1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე დარო პატარა შვილებით გოგით, კუკურითა და მაყვალათი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 20 დეკემბერს გარდაიცვალა

ივანე საათაშვილი

გამოსვენება ფასანაურის ქ. № 3, ქაშვეთის ეკლესიაში 23 დეკემბერს დილ. 10 ს. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (3349 1—1)

საქართველოს ექიმის თანაშემწეთა პროფესიონალური კავშირების ცენტრალური გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ 20 დეკემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამგეობის საუკეთესო წევრი და სასიქადულო ამხანაგი

ივანე გიორგის ძე საათაშვილი

გამოსვენება თავის ბინიდან (ფასანაურის ქ. № 3) ქაშვეთის ტაძარში სამშაბათს, 23 დეკემბერს, დილის 10 საათზე, დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე. (3346 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ძმა ალექსანდრე, დები დარო იაშვილისა, ნინო მიქაძისა, ეკატერინე მელიქშახნაზაროვისა აუწყებენ ნათესავთ. ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 20 დეკემბერს გარდაიცვალა საყვარელი ძმა

ივანე გიორგის ძე საათაშვილი

გამოსვენება ბინიდან, ფასანაურის შესახვევი, № 3 (ვერაზე) სამშაბათს, 23 დეკემბერს დილის 9 საათზე, საიდანაც წაასვენებენ ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა იმავე დღეს კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე (3347 1—1)

შიო მღვიმელი და გიორგი ქუჩიშვილი აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს საყვარელი მეგობრის

ვანო საათაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. (ნ. 1—1)

საქ. სახ. რკინის გზის საექიმო-სასანიტარო დარგში მომუშავე ექიმის თ ნაშემწეები გამოსთქვამენ განუსაზღვრელ მწუხარებას ძვირფას ამხანაგის და ნიჭიერ მწერლის (ჩვენს დარგში) ექიმის თანაშემწის

ვანო საათაშვილის

უდროოდ დაკარგვის გამო. (3353 1—1)

დედ-მამა მაკრინე და ალექსი, ძმები; ალექსანდრე, (სანდრო) ვლადიმერი, სამსონი და ვარდენი მიქინაშვილები, დაი ბარბარე (ძობუ ქმრით) მიხეილ სალაყაიები, რძლები: ოლღა ჭუბაბრიას ასული, მინა თურქიას ასული და ვასასი ფხაკაძის ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ბრძოლის ველზე დაიღუპა 3 ორუჩიკი

ნესტორ ალექსის ძე მიქინაშვილი

წლის წირვა და პანაშვიდი 24-ს დეკემბერს ახალი სტილით (ძველი სტილით 11-ს) ფოთის სასაფლაოს ეკლესიაზე. (3307 1—1)

ნანეიშვილისეულის თემის გამგეობა და ს. დ ორგ ნიზაცია აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ სამშაბათს, 23 დეკემბერს დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარი ამხ.

სევერიანე თოდუას და ვანო ლურიას

ხსოვნის აღსანიშნავად. (ფ. 1—1)

ღრმათ დამწუხრებული მამა მაქსიმე, ძმები: ივანე და იოსები, რძლები ოლღა, ლიდა და ანეტა ქმრით, ძმისწულებ: ქეთო, ვახტანგი, გიორგი და ეთერი ნინუები აუწყებენ ყველა ნაცნობთ და ნათესავებს, რომ 21 დეკემბერს ღამის 1 საათზე უდროოდ გარდაიცვალა მათი საყვარელი

ვასილი მაქსიმეს ძე ნინუა

(3352 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: შვილი ვასო, რძალი ვერა კუდუხაშვილები და დაი მაში აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კვირას 21 დეკემბერს, მათთვის ძვირფასი

მარიამი იაკობის ასული კუდუხაშვილი

გამოსვენება სახლიდან დილის 10 საათზე (ჩერქეზიშვილის ქუჩა № 179, მე-11 კომისარიატი) სამშაბათს 23 დეკემბერს. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (3351—1—1)

საქართველოს სახაზინო რკინის გზების კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებულ

კულტურა განათლების

კომისიას განზრახული აქვს შეიძინოს პროფესიონალური, ლიტერატურული და პოლიტიკური ხასიათის ქართული წიგნები. მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე ხსენებულ კომისიის თავმჯდომარესთან დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ელისაბედის ქუჩა № 200. (ნ. 6—4)

კონსერვატორის დარბაზში

სამშაბათს, 23 დეკემბერს, პროფესორი

შალვა ნუცუბიძე წაიკითხავს ლექციას

პიროვნების თავისუფლება და ქალთა ემანსიპაცია

ლექციის დასაწყისი სალ. 8 საათზე. ბილეთები 10 მ.—5 მ—მდე, იყიდება ყოველ დღე კაფე „დარბაზში". ლექციის დღეს კი კონსერვატორიაში. (3344—1—1)

27 დეკემბერს, ქ. ოზურგეთში

დანიშნულია ს. დ. პარტიის გურიის სამაზრო

კომიტეტის სხდომა

კომიტეტის წევრთა დასწრება სავალდებულოა. (უფ. 1—1)

სალიტერატურო, სამეცნიერო, საპოლიტიკო და საკოოპერაციო ჟურნალი № 2

„შვიდი მნათობი"

გამოცემა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირისა. ფასი 75 მან. საწყობი მოთავსებულია კოოპერაციის ქუჩა, საკუთარ სახლში № 15. მოიკითხეთ ადგილობრივ წიგნის მაღაზიებში. (3335—1—1)

საექიმო პერსონალი, მასწავლებლები და იური-კონსულტი

(იგივე ადმინისტრატიული განყოფილების გამგე)

საჭიროები არიან ბორჩალოს სამაზრო ერობის გამგეობისათვის; ექიმები და იურისკონსულტი თვეში მიიღებენ—4,000 მან. ჯამაგირს. ფერშლები და ფერშალ-აკუშერკები—2,600 მან., ბეითლები 3,600 მანეთს, ბეითალი ფერშლები—2,400 მან. და მასწავლებლები—2,600 მ. უკანასკნელთ მიეცემათ ბინა გათბობით და განათებით. მასწავლებლები საჭირონი არიან თათრულ, ქართულ და ბერძნულ სკოლებისათვის. სასურველია საექიმო პერსონალმა იცოდეს თათრული ენა მსურველთ შეუძლიათ განცხადების გაგზავნა ამ მისამართით: კოლ. ეკატერინოვკა, საერობო გამგეობას (3348—3—1)

2-რე ქართული კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 129)

ოთხშაბათობით და პარასკევობით

„სინემატოგრაფი"

ხუთშაბათობით

„საოჯახო და საცეკვაო საღამოები"

სიმებიანი ორკესტრი დასაწყისი სალ. 8 საათზე.

სტუმრები კლუბში შედიან საზოგადო წესით. (ნ. 3—1)

## ჩვენ ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე.

მას შემდეგ, რაც წლევანდელი მოუსავლობის ფაქტი გამოირკვა, აშკარა იყო, რომ ისედაც გამწვავებული სასურსათო კრიზისი საფრთხეს გვიმზადებდა. ამ უკანასკნელ კვირეებში სიძვირე ყოველ დღე იზრდება. ერთი საგანი მეორეს მისდევს და უსწრობს, მეორე მესამეს. თითქოს ამ საგნებს სიძვირის მოედანზე გიჟური დოლი გაუმართავს.

ბევრჯერ ითქვა და გამეორება რა საჭიროა, ისედაც ცხადი და ჭეშმარიტ აზრის, რომ სიძვირე, სასურსათო კრიზისი, ეს საერთო, თუ გნებავთ, მსოფლიო მოვლენაა, რომ ამ უბედურების უმთავრესი მიზეზები უნდა ვეძიოთ არა ამა თუ იმ მთავრობის პოლიტიკის უვარგისობაში, არამედ იმ საერთო და გარდაუვალ პირობებში, რომელიც წარმოშვა უკანასკნელმა მსოფლიო მოვლენებმა და შეხლა შემოხლამ. მხოლოდ სრულიად ბეცს ან არაკეთილსინდისიერად მოაზროვნეს შეუძლია სთქვას, რომ ჩვენი სასურსათო გაჭირვების მთავარი მიზეზი თითქოს მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა იყოს. სიძვირის საკითხის სავსებით გადაჭრა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ შესაძლებლობას აღემატება. ცნობილია, რომ ევროპის უდიდესი ნაწილი გმინავს ასეთივე გაჭირვების გამო. გუშინ დეპეშამ გადმოგვცა, რომ საფრანგეთში სიძვირე და სასურსათო კრიზისი ძლიერ გაიზარდა და მთავრობამ ომის დროის სასურსათო ბარათები შემოიღოვო. მკითხველს ეცოდინება, რომ საფრანგეთმა ომის გათავების შემდეგ, თითქმის აგერ ერთი წელიწადია, რაც სასურსათო საგნებზე ვაჭრობის სრული თავისუფლება გამოაცხადა, მაგრამ, დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი მბრძანებელი იძულებული ხდება ბარათებით დაუნაწილოს პარიზის მცხოვრებთ ლუკმა პური. ევროპის ცენტრალურ და აღმოსავლეთ სახელმწიფოებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია; ამ უკანასკნელ ქვეყნებში სიძვირე კი არა პირდაპირ შიმშილია.

ამ გვარათ ჩვენი სასურსათო კრიზისი ერთი პატარა რგოლია დიდ მსოფლიო კრიზისის ჯაჭვში, და რასაკვირველია უნიადაგო ოცნება და მავნებელ-შეცდომა იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ ჩვენ საკუთარის ძალითა და პოლიტიკით დამოუკიდებლათა და სავსებით გადავსჭრიდით ამ საკითხს. ჩვენ გადაჭრით უნდა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ ეს ავათმყოფობა, ეს უბედურება ყველასა გვჭირს, მას ვერ გავექცევით, ის ვისმეს დანაშაული კი არაა, აუცილებელი უბედურებაა და ჩვენი იმედი და ცდა მიმართული უნდა იქნეს იქითკენ, რომ ამ ავათმყოფობის დროს, ტკივილები შევისუბუქოთ. როგორ, რა გზით?

უკანასკნელმა დღეებმა და სიძვირის გიჟურმა ზრდამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა ის, უმისოდაც ცხადი დებულება, რომ ზედმეტი ქაღალდის ფულის მოჭრით და ჯამაგირების მომატებით იარას მალამო არ დაედება. რომ ეს საშვალება არამც თუ სრულიად მოკლე ხნის პალიატივია, არამედ, როგორც სისტემა, მავნებელი და დამღუპველია, ვინაიდან ყოველი ასეთი ნახტომი არყევს ისედაც მერყევ ეკონომიურ-ფინანსიურ მდგომარეობას, ხოლო დღევანდელ პირობებში, ყოველგვარი ასეთი შერყევა მხოლოდ ერთს ტენდენციას, ფასების ზრდის ტენდენციას აძლიერებს. ფულის ჭრის პროგრესიული ზრდა და მისი ხელფასათ დარიგება სახელმწიფო ორგანიზმს აავადებს, ქაღალდის წყალმაკს უჩენს. ეს საშუალება საწამლავია, შეიძლება ტკბილია, მაგრამ მაინც საშინელი და საბედისწერო საწამლავი.

ჩვენი სიძვირის საკითხი პირველ ყოვლისა ფინანსიური, ვალიუტის საკითხია. ევროპიული გაზეთები, მათ შორის ინგლისურიც, სწერენ, რომ საქართველოში მთელ დედამიწის ზურგზე საარაკო სიაფეაო. ეს მართალია, მაგრამ მართალია არა ჩვენთვის, არამედ მათთვის. ევროპიელნი ანგარიშობენ თავიანთ ფულით და რასაკვირველია, აქ ყველაფერი ნამეტანი იაფი გამოდის. ჩვენ რომ მტკიცე ვალიუტა გვქონდეს, ჩვენს ფულს, რომ ისეთივე საფუძველი ედოს, როგორც მათ, რასაკვირველია, ჩვენთვისაც ყველაფერი გაიაფდებოდა. მაშასადამე პირველი და უმთავრესია საკუთარი მტკიცე ვალიუტის შექმნა და არა ბონების ბეჭდვა, იმ ბონების, რომელსაც ზურგში მკვდარი ყავს აკიდებული, ვინაიდან ის როგორც თამასუქი, მხოლოდ „რუსეთის მანათის პირია".

თვით ვალიუტის საკითხის გადაჭრასთან მჭიდროთაა დაკავშირებული. ჩვენი საგარეო ვაჭრობის ბედი. ჩვენ სიხარულს საზღვარი არ აქვს, როდესაც გავიგებთ, რომ ფოთს უცხო საქონლით დატვირთული გემი მოადგაო. თუ მხოლოდ საზღვარ გარეთიდან შემოზიდეს საქონელი და გაზიდვით კი ვერაფერი გავზიდეთ, მაშინ სასიხარულო არაფერი გვექნება. კიდეც რომ შევქნათ რაიმე ვალიუტა, სესხით თუ სხვა საშუალებით, მას მალე გამოეთხრება ძირი, თუ აქტიური სავაჭრო ბალანსი არა, წონასწორობა მაინც ვერ შევქმენით. ხოლო ჯერჯერობით საგაზეთო ქრონიკა იშვიათათ აღნიშნავს ხოლმე, რომ საქართველოს პორტში ესა და ეს გემი ამა და ამ საქონლით დაიტვირთაო.

ამ კითხვასთან მჭიდროთაა დაკავშირებული ეგრეთ წოდებული გაზიდვის ნებართვითი სისტემა. ამ კითხვას უთუოდ ესაჭიროება გარკვეულობა. დღეს ნათლათ არ არის ხალხისთვის გამორკვეული, რისი გაზიდვა შეიძლება და რისი არა, რას უნდა ნებართვა და რას არა. საჭიროა მკაფიოთ და ყველასათვის ხელმისაწვდომათ გამოცხადდეს, თუ რომელი საქონელია მონოპოლიის საგანი და რომელს სჭირია გაზიდვის ნებართვა. ასეთი საქონლის რიცხვი, რაც შეიძლება მცირე უნდა იქნეს. დანარჩენი კი გაზიდონ თავისუფლათ ვისაც და სადაც უნდა, ოღონდ შესაფერი ბაჟი უცხო ვალიუტისა თუ სხვა სახით უნდა უზღონ სახელმწიფოს. თფილისში არც ერთი ფასიანი ქაღალდი არ განიცდის იმდენ ტრიალს არალეგალურ ბირჟაზე, როგორც ეს ნებართვის ქაღალდები.

ვფიქრობთ, რომ უკვე საკმარისი გამოცდილება გვაქვს იმისი, რომ ეგრეთ წოდებული საქონლის გაცვლის товарообмѣнъ) („ამდენი თუთუნი გაიტანე, ხოლო ამდენი პური შემოიტანე") სისტემა გამოუსადეგარი შეიქნა. ძნელია მეოცე საუკუნეში (ცხვრის ფართალზე გადაცვლა, ფართლის თუთუნზე და ასე ბოლომდე. შეიძლება თუთუნის გაყიდვა კარგათ ვიცოდე, მაგრამ ტყავის ყიდვის ინჩიც არ მესმოდეს. ცნობილია, რომ ამა თუ იმ საქონლის ყიდვა გაყიდვა ეს სპეციალური დარგია და ამ საქმისათვის განსაკუთრებული ბირჟებიც კია დაწესებული—პურის, ტყავის, ქვანახშირის და სხვა. და შენ კი ავალებ მეტყავეს, გინდა არ გინდა ქვანახშირი მიყიდეო. ეკონომიური ცხოვრების ხინგრძლივმა განვითარებამ დიდი ხანია გამოიმუშავა ფული, როგორც გაცვლა გამოცვლის უნივერსალური საშუალება, ის სპეკულიანტს კი არ მოუგონებია, და საჭიროა ამ შემთხვევაში ეს მართლა მოგონებული და შეთხზული „ტოვაროობმენი" სისტემა უარყოფილ იქნას და ფულის სისტემის გზას ორივე ფეხით დავადგეთ.

აღსანიშნავია, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ ჩვენ ძლიერ მტკიცეთ ვიცავთ საგარეო საზღვრებს, ხოლო ეს საზღვრები, ხშირათ ჩვენივე რესპუბლიკის მაზრათა და თემთა შორის მდებარეობს. ხშირათ მაზრა და თემიც კი სადამოენო ომს უცხადებს მეზობელ მაზრასა და თემს, ხოლო ეს კი ყოვლად შეუწყნარებელი. ვაჭრობისა და გადაზიდვის სრული და უპირობო თავისუფლება რესპუბლიკის საზღვრებში—ასეთია ჩვენი მთავრობის პოლიტიკა, ხოლო ამას ყოველთვის არ ეთანხმება ადგილობრივ მმართველობის პრაქტიკა, და საჭიროა მათი წესიერებისაკენ მოწოდება.

მართალია, საზღვრებს კი უნდა დაცვა, ისინი სანახევროთ დაუცველი არიან მაგრამ თემსა და მაზრის საზღვრებში კი არა, არამედ რესპუბლიკის. მაგალითად ჩვენი რესპუბლიკის დროებით საზღვარს ბათომის ოლქთან იცავს მეტათ მცირე რაზმი, მართალია ისიც, რომ ბათომის ოლქი და ბათომი ჩვენი რესპუბლიკის ნაწილია, მაგრამ დღევანდელი მისი მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენ იძულებული ვართ მასაც ისე მოვეპყრათ, როგორც უცხო სახელმწიფოს. ნამდვილათ კი ეს საზღვრები იმდენათ დაუცავია, რომ აქედან არამც თუ კონტრაბანდას, არამედ მთელ ჯოგებსაც კი მიერეკებიან. საჭიროა საჩქარო და სასტიკი ზომები...

ვიმეორებთ. სასურსათო კრიზისი მსოფლიო საკითხია და ჩვენ საკუთარი ძალებით მას სავსებით ვერ გადავსჭრით. უეჭველია სიძვირე ჯერ კიდევ წინ წაიწევს. მაგრამ ტკივილების შემსუბუქება კი შეგვიძლია. ეს ჩვენ ხელთაა. საჭიროა ეს საკითხი საზოგადოებრივ ყურადღების ცენტრში დაისვას. დიდი უბედურებების შემამსუბუქებელ პატარა საშუალებების ძებნას მეტი ყურადღება მივაქციოთ. თათბირებმა შეიძლება თავიც მოგვაბეზრა, მაგრამ საჭიროა დიდი სახელმწიფო ბჭობის გამართვა ჩვენ დღევანდელ ეკონომიურ ფინანსიურ მდგომარეობაზე.

## მიწების სყიდვა-გაყიდვა

აგრარული რეფორმა მუდამ დიდ ყურადღებას იპყრობდა. რევოლიუციამ ის პირველ რიგში დასვა და თავის ბედი მასთან შეაკავშირა.

რეფორმას გრძელი და რთული ისტორია აქვს, მარა ახლა მაზე როდია ლაპარაკი. ჩვენი მიზნისათვის საკმარისია ზოგიერთი ისტორიული დატების და დადგენილების გახსენება.

პირველი აქტი, რომელიც რუსეთის რევოლიუციამ მოახდინა აგრარული რეფორმის საკითხში, იყო მიწების ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა. ეს მოხდა 1917 წ. ივლისის 12.

რამ გამოიწვია ასეთი დადგენილება?

რომ თავიდან ავიშოროთ მიწებით სპეკულიაცია—ამბობს ეს დადგენილება,—რომ შეუძლებელი გავხადოთ ფიქტიური დოკუმენტების შედგენა მიწაზე; რომ მიწები არ დააგირავონ და არ გადასცენ უცხოელებს და მით ხელი არ შეუშალონ დამფუძნებელ კრებას თავის შეხედულებისამებრ გაანაწილოს საფონდო მიწები,—დროებითი მთავრობა ადგენს მიწების ყიდვა-გაყიდვა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის ნებას დართავენ ადგილობრივი საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტები და ამას დაამტკიცებს მიწათმოქმედების მინისტრი.

ასეთია დადგენილება დროებითი მთავრობის. ასეთია მისი მოტივი. რუსეთში რევოლიუცია დამარცხდა. დადგა საკითხი რევოლიუციის გადარჩენისა ამიერ-კავკასიაში. ჩვენ იძულებული გავხდით შეგვეწყვიტა კავშირი რუსეთის ანარქიასთან. გაჩნდა ამიერ-კავკასიის კომისარიატი.

როგორ შეხედა კომისარიატმა მიწის საკითხს?

1918 წ 23 თებერვალს მან დაადგინა: ყოველგვარი აქტების შედგენა მიწებზე, ტყეებზე წყლებზე და მადნეულების საკუთრების გადაცემის შესახებ დროებით შეჩერებულ იქნას.

სიტყვა „დროებით" აქ შეგნებულათ არის ნახმარი. შეგნებულათ იმიტომ რომ ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა—ეს არ იყო პრინციპის კითხვა. ეს მხოლოდ საშუალებაა მიზნის მისაღწევათ. მიზანი კი მსხვილი მიწათ მფლობელობის გაუქმება იყო და რომ მიწის მეპატრონეებს არ ესარგებლათ დროთი, მიწები არ დაჭრილიყო და არ დარიგებულიყო

# დღეს

**საზავო პირობები 1 იანვრიდან შედის ძალაში; ამის შემდეგ ხალხთა ლიგაც ავტომატიურად მოქმედებას დაიწყებს.**

**ბოლშევიკების ცნობით ლოიდ ჯორჯს განუცხადებია, რომ ინგლისი მხოლოდ მაშინ ჩამოაგდებს ზავს რუსეთთან, როცა იქ კანონიერ და მაგარ მთავრობას დაინახავს.**

**ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით ბოლშევიზმის საშიშროება უნგრეთში აცილებული არ არის.**

**ქვედა პალატაში ლოიდ ჯორჯის გამოსვლას ელიან ევროპის საერთო მდგომარეობის და განსაკუთრებით კი ოსმალეთის და რუსეთის საკითხების შესახებ**

**გერმანული პრესის ცნობით ისპანიაში ანარქისტული გამოსვლები გრძელდება. მუშათა რაიონებში სერიოზული შეტაკებებია.**

მრავალთა შორის, ყიდვა გაყიდვის აკრძალვაც აუცილებელი იყო. ხოლო, როცა რეფორმა დასრულდებოდა, შემდეგ ეს აქტიც გაუქმდებოდა. ასეთია 23 თებერვლის დადგენილების დედა-აზრი. ეს კანონი არას ამბობს იმის შესახებ თუ ამ აქტის გაუქმების შემდეგ როგორი უნდა იყოს მიწათ მფლობელობის ფორმა მომავალში. ამ საკითხს ეხება საქართველოს პარლამენტი და 28 იანვრის კანონით მას ნაწილობრივ სწყვეტს. ის ეხება საფონდო მიწებს და ამბობს: როცა მიწების გადაცემა ხდება, უპირატესობა უნდა მიეცეს სამაზრო ერობას. (მუხ. 19) მაშასადამე ის შესაძლებლათ სცნობს საფონდო მიწების გადაცემას საკუთრებათ. მარა უპირატესობას აძლევს ერობას. ის უკვე სწყვეტს საფონდო მიწების ფლობელობის ფორმას. ის აღიარებს საკუთრებას, მარა მის რაოდენობას თვითეული კომლისათვის არაპირდაპირათ რამდენიმეთ ზღუდავს.

მიწა გადაეცემა სოფლის მცხოვრებთ საკომლოთ იმდენი, რომ მიცემული მიწა მის უძრავ ქონებასთან ერთად არ აღემატებოდეს იმ ნორმას, რომელიც კონფისკაციის დროს დაწესებულ იქნა კერძო მფლობელისათვის შვიდი მარტის კანონით. (მუხ. 7. ხაზი ჩვენია).

ასეთია კანონების იმ მუხლების აზრი, რომელიც ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს.

მიწის რეფორმა ჩვენში ჯერ კიდევ არ დასრულებულა, მისი დაჩქარება კი იმდენათ აუცილებელია, რომ ყოველგვარი ზომები უნდა იქნას მიღებული რაც შეიძლება მალე დათავდეს. და აი ჯერ კიდევ დაუთავებელ რეფორმის პროცესში მიწათ-მოქმედების მინისტრი შემოდის დამფუძნებელ კრებაში წინადადებით, რომ სყიდვა გაყიდვის აკრძალვა გაუქმებულ იქნას ორ შემთხვევაში. 1) იმ უცხოელთათვის, რომლებიც სტოვებენ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს და 2) რესპუბლიკის იმ მოქალაქეთათვის, „რომლებიც გაღატაკდენ და უსახსრობის გამო მოკლებული არიან საშვალებას მისცენ სწავლა-განათლება შვილებს და სხვა."

მინისტრი აქ კითხვას მეტათ ავიწროებს, მარა მას ამისაც ეშინია. ამიტომ დასძენს: ასეთ შემთხვევაშიაც კი ნებართვა მხოლოდ მინისტრისაგან მიეცემაო. ეს სიფრთხილე, რა თქმა უნდა, კარგი და აუცილებელია, მარა, ვშიშობთ, რომ მან აგვაცდინოს ის რაც მინისტრთან ერთად ჩვენც გვაშინებს.

სულ სხვაფრივ შეხედა საკითხს დამფუძნებელი კრების აგრარულმა კომისიამ. მან არ გაიზიარა სავსებით ეს შიში, მინისტრის პროექტი კიდევ უფრო გააფართოვა და გაავრცელა ყველა იმ მაზრაზე, სადაც მიწების ჩამორთმევა უკვე დასრულდა. ორივე ეს პროექტი გადაეცა ფრაქციებს. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციამ არა ერთი და ორი სხდომა მოანდომა მის განხილვას. კამათი, რომელიც ამ კითხვის გარშემო გაიმართა, ნათლათ ამტკიცებს თუ რამდენათ რთული და მწვავეა ეს კითხვა.

ფრაქციაში თავი იჩინა სამმა მიმდინარეობამ. ერთი ემხრობა მინისტრს, მეორე—აგრარულ კომისიას, მესამე—ორივეს უარყოფს. ჩვენ ვიცავთ უკანასკნელს. რატომ? იმიტომ რომ ამ კითხვის დასმა, ჩვენი აზრით, ნაადრევია. ნაადრევია იმიტომ რომ ჯერ კიდევ არსებობს ის მიზეზი, რომლითაც გამოწვეული იყო სყიდვა გაყიდვის შეზღუდვა. მიწების ჩამორთმევა და დანაწილება ჯერ კიდევ არ დასრულებულა. და რომ ასეთ პირობებში შეუძლებელია ამ შეზღუდვის გაუქმება, ამას აგრარული კომისიაც სცნობს, ამიტომაც არის, რომ ითხოვს —გაუქმდეს იქ, სადაც მიწების ჩამორთმევა დასრულებულიაო.

მარა, როგორც ვთქვით, ჩამორთმევა ჯერ კიდევ სავსებით არ დასრულებულა. და რომც დასრულებულიყო ჩამორთმევა, ხომ მხოლოდ ნაწილია რეფორმისა. ამიტომ სანამ რეფორმა სავსებით არ დამთავრებულა, აკრძალვის გაუქმება საშუალებას მისცემდა დაინტერესებულ პირებს გაეძლიერებიათ ის ბოროტმოქმედება, რომელიც გამოიხატება მიწების შინაურული წესით გაყიდვაში.

შეზღუდვის საერთოდ მოხსნა გულისხმობს იმას, რომ ჩვენ ამ კერძო შემთხვევაში ვსწყვეტთ საერთო ხასიათის მეტად სერიოზულ საკითხს—როგორი იქნება მომავალში მიწათფლობელობის ფორმა. იქნება ის რაიმე ნორმით ერთგვარ განსაზღვრულ ფარგლებში ჩაყენებული თუ არა? 28 იანვრის კანონით ეს ფორმა მფლობელობისა გადაჭრილია მხოლოდ საფონდო მიწებისათვის. კამათის დროს, გზა გზა, გამოირკვა, რომ ეს კითხვა არ არის საკმაოთ გარკვეული და ყველასთვის სავალდებულო სახით გადაჭრილი. ამიტომ საჭიროა მისი საერთოდ გადაჭრა.

რომ მიწების გაყიდვაზე აკრძალვის მოხსნა დიდათ შეაფერხებს რეფორმის გატარებას, ამას დიდი მტკიცება არ უნდა. გარდა იმისა, რომ გაართულებდა კანცელიარულ მიწერ-მოწერას, რადგან საჭირო იქნება გამყიდველის უძრავი ქონების შესახებ საჭირო ცნობების შეკრება, თვით გლეხობასაც გაუტეხდა გულს ფონდიდან მიწების შეძენაზე. ეს შეიძლება ითქვას განსაკუთრებით თფ. გუბერნიაზე, სადაც გლეხობა შედარებით უფრო მეტი ნადელის მქონეა.

გლეხს ეძნელება ფულის გაღება საფონდო მიწებში, რადგან ფიქრობს, ვაი თუ დამეკარგოსო. აქ მას მიეშველება მემამულეც, რომელიც შეეცდება დაუპირდაპიროს მისგან მიცემული „კუპჩა" საფონდო მიწების სიმტკიცის აქტს და დემაგოგიური მიზნით შეეცდება დაუკარგოს მნიშვნელობა უკანასკნელს. ქუთაისის გუბერნიაში ახლაც ეწევიან აგიტაციას: არ შეიძინოთ საფონდო მიწები, თუ ჩვენ არ მოგიწერეთ ხელი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეძენის აქტს ძალა არ ექნება; გარემოების შეცვლის დროს ფული დაგეკარგებათ და მიწები ისევ ჩვენ დაგვიბრუნდებაო. სამწუხაროთ ამას გასავალი აქვს და გლეხობა ათასობით იხდის. ამას კიდევ უფრო გააძლიერებს ის გარემოება, რომ ნოტარიუსი ერთ და იმავე აქტს ორი სხვა დასხვა ფორმით შეასრულებს. ერთ შემთხვევაში კერძო სახით მიწის ყიდვა შესრულებულ იქნება „კუპჩაია კრეპოსტ"-ით. მეორე შემთხვევაში ჩამორთმეულ მიწას გლეხი შეიძენს დამტკიცების აქტით, რომელსაც მოქალაქეობის სავალდებულო ხასიათი ჯერ კიდევ არ მიუღია. და აი როცა ეს ორი დოკუმენტი ერთმანეთს დაუპირდაპირდება, ვფიქრობთ, რომ გლეხმა უპირატესობა უკანასკნელს მისცეს.

ფაქტია, რომ მიუხედავად აკრძალვისა, გლეხობის დიდი უმრავლესობა ყიდვა-გაყიდვას მაინც ახდენდა შინაურული წესით. აკრძალვის მოხსნით ისინი სრულიად თავისუფლათ იგრძნობენ თავს. ამის შედეგი კი იქნება არა ერთი და ორი ბოროტ-მოქმედება, და ამის საზღვრის დადება აღემატება ნოტარიუსების ყოველგვარ ცდასა და ზომებს. ასე რომ აკრძალვის გაუქმება არაპირდაპირათ აკანონებს მიწების საიდუმლოთ ყიდვა გაყიდვას. და თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ამ ჟამად ყოველივე საგანი სპეკულიაციის საგნად არის ქცეული, გამოვა, რომ რაც აქამდე საიდუმლოთ ხდებოდა და არავითარი ძალა არ ქონდა, ახლა კანონის სახით აშკარა და მასიური გახდება და მასთან ბრძოლა შეუძლებელი იქნება.

ვინ არის დაინტერესებული მიწის გაყიდვაში? ცხადია ის, ვისაც მიწა აქვს და ამათ რიცხვში, პირველ ყოვლისა ის, ვისაც ნორმაზე მეტი აქვს და კანონის გვერდის ახვევით ცდილობს ცოტა მაინც გაყიდოს ჩამოსართმევ ნაწილიდან. ყოფილი მემამულე, რომელსაც დღესდღეობით ამა თუ იმ მიზეზების გამო სოფლათ ცხოვრება არ ეხერხება. უცხოელები, რომლებიც მიდიან და ძალიან მცირე რიცხოვანი წრე მცირე მამულიან გლეხებისა, რომლებსაც მიწა არ ყოფნით და არც საჭირო ინვენტარი აქვთ.

უეჭველია, პირველი კატეგორიის გამყიდველნი ყველაზე მეტი იქნება. მაგრამ, რადგან მათ ბოროტი მიზნით უნდათ მამულების გაყიდვა, ცხადია, კანონი მფარველობას ვერ გაუწევს. მეორე კატეგორიის გამყიდველნი ზოგიერთ შემთხვევაში მართლაც რომ გაჭირვებულნი არიან, მაგრამ ეს მოვლენა დროებითი და შემთხვევითია. ცხოვრება თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება. ბევრი ასეთი მემამულე დღეს უკვე თავის კერას უბრუნდება და მშვიდობიან ცხოვრებას ეწევა. მცირე მამულიანი გლეხებისათვის მიწების გაყიდვაში ხელის შეწყობა არ შედის ჩვენს პროგრამაში. პირიქით, ჩვენა გვსურს მას ყოველმხრივ დავეხმაროთ და ხელი შევუწყოთ. ამ მიზნით ვურიგებთ მიწებს ფონდიდან, ვაწვდით სათესლე ხორბალს, იარაღებს და სხ. და თუ დღეს ეს დახმარება მცირეა—ეს აიხსნება ჩვენი საერთო გაჭირვებით. დარჩა უმნიშვნელო ჯგუფი უცხოელებისა. მათთვის სრულებით არ არის საჭირო განსაკუთრებული კანონის გამოცემა, მით უმეტეს, როცა ასეთ კანონს შეუძლია სრული არევ-დარევა შეიტანოს რეფორმის გატარების საქმეში.

ჩვენ არაფერი ვთქვით მყიდველებზე, რადგან მათი ვინაობა ისედაც ცხადია. ჩვენა გვგონია, რომ მიწების სყიდვა-გაყიდვის აკრძალვა უთუოდ უნდა დარჩეს ძალაში რეფორმის დასრულებამდე.

სამწუხაროთ, რეფორმის დასრულება გახანგრძლივდა და ამ მხრით საჭიროა დიდი მუშაობა. რამდენათ მალე დასრულდება რეფორმა, იმდენათ მალე გადაიჭრება ამა თუ იმ სახით აღძრული საკითხიც ამიტომ, უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ ფრაქცია ამ კანონპროექტს დროებით მოხსნის და მის გარჩევა-მიღებას დაუკავშირებს რეფორმების დასრულებას.

განი.

# პრესა

„ივერია" ჩვეულებრივათ იგინება. გინების შემდეგ გვაშინებს: „თავისუფლების მოედანზე" ყალბი ნებართვით მოვაჭრე სპეკულიანტების ადრესები „ერთობას" კარგათ უნდა მოეხსენებოდესო". დიახ, „ერთობას" მოეხსენება ეს ადრესები. ამ ადრესს გაჰყევით და მიხვდით „საქართველოს" რედაქციაში. ეს ადრესი, უეჭველია, „ივერიამ" ჩვენზე კარგათ იცის.

„ნამდვილი ბურჟუაზია—განაგრძობს „ივერია"—იძულებულია მათგან იყიდოს ფულით ეს ნებართვები „თავისუფლების მოედანზე"ო. ჩვენც ესა ვთქვათ და მეტი არაფერი. „ივერია" გვეთანხმება და ამას ადასტურებს. მით უკეთესი. ამბობს: ყიდულობსო. თუ ყიდულობს, ცხადია კიდევაც ყიდის. ასეთია ბუნება ვაჭრობისა. ასეთ ვაჭრებს „ივერია" ნამდვილ ბურჟუაზიას (ხაზი ჩვენია) ეძახის. თუ ყალბი ნებართვებით მოვაჭრეები ნამდვილი ბურჟუაზიაა, მაშინ რომელია ნეტავ არა ნამდვილი ბურჟუაზია?

და ბოლოს „ივერია" იმუქრება: თუ საპასუხო წერილს კონკრეტიული სახე მიეცემა, მაშინ „ერთობაც" და განიც თვითონ გამონახავენ თავის დასაკლავ დანასო.

რაშია საქმე? ჩვენ დაველოდით „ივერიის" წერილების „კონკრეტიულ სახეს" და მაშინ ვნახავთ ვისთვის იქნება საჭირო „დასაკლავი დანა".

# უკანასკნელი აღდგომა

(ნინო ჩხეიძის იუბილეს გამო)

**შთაბეჭდილება**

ხალხო, ხალხო, ბედნიერები ხართ, რა სვესვიანები ხართ! მერმე იცით თქვენ ესა, ჰგრძნობთ განა ამ ბედნიერებას? თქვენ მარად სწუწუნებთ: ბუნება ძუნწად გვექცევაო, ქვეყნად გამოჰლია დიდი პიროვნებანიო.

ყრუს არ ესმის ბეთჰოვენის სიმფონია და მისთვისაა იგი უბედური... მაგრამ თქვენ? თქვენ ხომ ჰხედავდით გუშინ ნინო ჩხეიძეს რა არის ესა? განა ბუნება რომ მართლა ძუნწი ყოფილიყო ნინოს გვაღირსებდა?

მრავალჯერ მინახავს ნინო სცენაზე. გრძნეული თამაშით მრავალჯერ შეუცურებივარ მშვენიერების სხივ ნარში, მაგრამ... მაგრამ, როგორც კი ჩამოშვებულა ფარდა,—განცდა გაბაცებულა, გაცრეცილა და შემდეგ მთლად გამქრალა, ვით ცისარტყელა.

აი ეხლაც მსურს წარმოვიდგინო ნინოს გუშინდელი დიადობა, გრძნობამჟღერობა და ამაოთ, სულ ამაოთ... ველარ ვახერხებ ისეთის სიცხოველით მოგონებას .. ჩემს გარშემო ფუთფუთებს ხალხი და იშლება ოცნების იმ მკრთალ სხივთა ბურჯნიც, რომელიც გუშინ აღმართა ნინომ... საშინელი ბედი ჰქონია სცენის ხელოვანს. იგი მარტო შემოქმედების დროს სცოცხლობს და შემდეგ იკარგება...

უფსკრული და მძლავრი არსებობს მწერალ მხატვარ მოქანდაკეთა და მსახიობთა შორის.

მსოფლიოს ჰალარათ-ჰალარა ისტორიას ჯერ არც კი გაუშალა ჟამთა ვითარების ეტრატი, რომ ჰეზიოდმა ააწკრიალა თვისი ქნარი... მრავალ საუკუნეებმა განვლო მას შემდეგ, უსრულებელ დროთა დენის ღვართქაფმა მრავალი ტომი წალეკა და წაშალა, მაგრამ ჰეზიოდი არ დავიწყებულა... იგი დღესაც ისევე გვახარებს და გვალაღებს...

მწერალი არასოდეს მოკვდება, თუ კი ღვთიური მადლით იყო გამთბარი, მაგრამ უყისმათოა მსახიობი, რომლის შემოქმედი ჰქრება წუთის უმალ...

ნუ მარწმუნებთ ვითომც მსახიობიც უკვდავი რჩებოდეს ხელოვნების პანთეონში.

განა ვარდი, თუნდა რაფაელის ფუნჯით ნახატი იმ განცდას მოგვგვრით, რასაც ნამდვილი ვარდი იძლეოდა? თქვენ შეიძლება მოგხიბლოთ ხელოვნის მიერ გენიალურად შეზავებულ ფერებმა, მაგრამ სურათიდან თქვენ მაინც ვერ მოგეკმევათ ის სურნელება, არომატი, რომელსაც ნამდვილი, ბუჩქებზე აკოკრებული ვარდი იძლევა... ასევეა მსახიობიც.

მართალია, ქართულ თეატრის ისტორიაში სასოებით იქნება მოთხრობილი ნუცას ზეგარდმო ნიჭის თილისმა და ქურუმობა, მაგრამ ჩვენი მემკვიდრენი ამაოდ შეეცდებიან ნინოს თამაშის წარმოდგენას... ვერ განიცდიან იმ ექსტაზს, რომელშიაც ჩვენ ვიყავით.

ალბად ამასა ჰგრძნობდა ნინო, რომ გუშინ თვისი მთრთოლავი ხმით გვაცხადა... ესაა ჩემი უკანასკნელი აღდგომაო... დიახ, მართლა უკანასკნელი აღდგომაა... ნინო ჯერ კიდევ კარგა ხანს იმეფებს ჩვენს სცენაზე, ორმოცი წლის იუბილესაც გადაუხდით, მაგრამ ეს ისევ ის უკანასკნელი აღდგომა იქნება.. მომავალი თაობა ვეღარ დასტკბება მისი თამაშით, როგორც სტკბება შოთა რუსთაველის, ბარათაშვილის და სხვა მგოსნების შემოქმედით...

ნინოს ბავშვებიც კი ვერ წარმოიდგენენ თავიანთ დედას სცენაზე მონარნარეს და მოხმატკბილეს...

შემოქმედება ტანჯვაა... მშვენიერების სახმილში წვა-დაფერფვლაა.

ნინოს 25 წლის მოღვაწეობაც წმინდა ტანჯვა იყო და გუშინაც, გუშინაც არ მოვასვენეთ და ვატირეთ... ბევრი ვატირეთ...

ან როგორ არ აუჩუყდებოდა გული, როდესაც დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის წარმომადგენელმა ივ. გომართელმა მგოსნურის აღტაცებით და სიჩაუქით მოჰკრიფა ზღვა ხალხის გულებში გაშლილი სიყვარულის პირველი ყვავილები და შესძღვნა იუბილიარს...

ხომ მიყვარდა წინათაც გომართელი და ამ წუთს უფრო შემიყვარდა... რა კარგი იყო იგი იმ დროს, ახ რა კარგი!

ნინო?..

ისედაც სათუთი, მგრძნობიერი ნინო, ვერხვად გადაიქცა... და ათრთოლდა... აჩქურდა . ღმერთო, რა მომხიბლავი იყო იგი თვისი ცრემლებით...

იცით რათა სტიროდა ნინო?.. იმიტომ, რომ ადამიანის ცხოვრება ხანმოკლეა და მას არ შეუძლიან ბევრ-ხანს, კიდევ ბევრხანს დაიწვას და დაიდაგოს ქართულ ხელოვნების საკურთხეველზე.

მე არ ვიცი იყო თუ არა გუშინ თეატრში ჩვენი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე და თუ იყო, მგონია უეჭველად მოენატრებოდა მარმარილოს ამეტყველება სევდიან ნინოს გამოსაქანდაკებლად.

დ. თურდოსპირელი.

# დეპეშები

საქართველოს დეპეშის სააგენტოსი

22 დეკემბერი.

**გერმანული პრესის ცნობები**

კოპენჰაგენში მყოფმა უკრაინის მისიის თავმჯდ. მიიღო გიორგ ბრანდესისგან წერილი. რომელშიაც ის უკრაინისადმი თავის სიმპატიას გამოსთქვამს. წერილში ბრანდესი აღნიშნავს, რომ რუსეთმა და მოკავშირეებმა უკრაინისადმი გამოიჩინეს საშინელი უსამართლობა. სამარცხვინოა, როდესაც კულტურული ევროპა მხარს უჭერს ისეთ ბარბაროსს, როგორიც დენიკინია.

გაზ. „მანჩესტერ გარდიანი" 5 დეკ. სწერს: „ბოლშევიზმის იარაღით მოსპობა ყოვლად შეუძლებელია. არც ერთი სახელმწიფო მატერიალურათ არ დაეხმარება ვისმეს ბოლშევიკებთან ბრძოლაში. რუსეთი ეს ხალხთა კონგლომერატია: ყოველი მათგანი მიილტვის დამოუკიდებლობისა, ან ფართე ავტონომიისაკენ. რომ ეს მოთხოვნილებანი მიიღონ და მათი საზღვრების გამორკვევას შეუდგნენ,—ამით საშუალებას მისცემენ მათ მტკიცე სახელმწიფოებრივი ერთეულები შექმნან და ურთიერთ შორის ეკონომიური დამოკიდებულება იქონიონ. ავსტრია უნგრეთის დანაწილება უმთავრესად იმიტომ მოხდა, რომ ამ მხრით მას ყურადღება არ მიაქციეს.

გაზეთების ცნობით საზავო ხელშეკრულობა იანვრიდან საბოლოოთ შევა ძალაში და ამით ხალხთა ლიგაც ავტომატიურათ თავის მოქმედებას დაიწყებს. ამ შემთხვევაში ლიგის საბჭო 7 ან 8 იანვარს შეიკრიბება პარიზში.

ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში ერთ კვირაზე მეტია, რაც საშინელი ღელვაა. კაბელი, გაწყვეტილია. ზღვაზე მგზავრობა მეტად გაძნელებულია.

მადრიდიდან იტყობინებიან, რომ ისპანიაში ანარქისტული გამოსვლები გრძელდებაო. მადრიდი მკვდარ ქალაქს დაემსგავსა. ვაჭრობა შეჩერდა. ქუჩაზე არც ქვეითი და არც ეტლით მიმავალი არა სჩანს. დადიან მხოლოდ ჯარის ნაწილები მუშათა რაიონებში სერიოზული შეტაკებებია. ბევრია დაჭრილი და დახოცილი. გამოდის მარტო სოციალისტური გაზეთები, რომლებიც ამბობენ, რომ მონარქია ალფონს მე-13 მეთაურობით მალე მოისპობა. ახალი კაბინეტის შედგენა დიდ დაბრკოლებას ხვდება იმის გამო, რომ სახელმწიფოს საქმეების მცოდნე პირები, რომელთაც ასეთ მძიმე მდგომარეობაში წინამძღოლობა იკისრონ, ძალიან ცოტანი არიან.

მელითონეთა კავშირის გამბურგის განყოფილების კომიტეტმა, რომელთა თავმჯდომარე ამას წინეთ დამოუკიდებელთა შტუტგარტის საერთო ყრილობაზე იყო, გადასაწყვიტა უარყოს დამოუკიდებელთა ყველა უკიდურესი წინადადებანი. გამბურგის განყოფილება აირჩევს სრულიად ახალ კომიტეტს. ეს მოვლენა „ფორვერტს" დამოუკიდებელთა დამარცხებათ მიაჩნია.

რადგანაც ბავარიამ თავისი თავი ვერ უზრუნველყო ნახშირით, მან გადასწყვიტა ელექტრონის ენერგიისათვის გამოიყენოს ალპიის მდინარეები, რომელთა ძალა ორ მილიონ ცხენ ს ძალას უდრის.

ლიტვისა და ლატვიის ოლქები 16 დეკემბრიდან სრულებით განთავისუფლებულია ყოფილ დასავლეთ რუსეთის არმიის ნაწილებისაგან. გერმანელთა ლეგიონმა და რკინის დივიზიამ შინა გერმანიისაკენ დაიხია. ლიტვის საზღვრები ტაუროგინც და რუსეთის კრეტინგენს შუა დაჭერილია ლიტოველთა ჯარების მიერ.

სასტუმროების მეპატრონეთა გაფიცვა ბერლინში უკვე დასრულდა. მთავრობამ უარი განაცხადა შეეცვალოს არსებული წესი, მხოლოდ პიროვნების აღსრულებაში ერთგვარ შემსუბუქებას დაეთანხმა. სასტუმროების მეპატრონეები ამ გადაწყვეტილებას სკეპტიკურათ შეხვდენ.

მრავალმა რუსის ჯარისკაცმა, რომელნიც წინეთ ჩრდილოეთ-დასავლეთის ჯარში მსახურობდენ და შემდეგ გერმანიაში იყვენ დატყვევებულნი, სურვილი განაცხადა ჩრდილოეთის ფრონტზე ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღონ. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ამის შესახებ მოკავშირეთა წარმომადგენლებს შეეკითხა.

უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა კაბინეტის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ბოლშევიზმის საშიშროებას არ ჩაუვლია რადგანაც მათი აგენტები ყოფილ ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ტერიტორიაზე დღესაც შეუპოვრათ მუშაობენ და ერთმანეთს შორის მტკიცე კავშირი აქვთ გაბმული. ვენის პოლიციის ცნობით, ვენის კომუნისტები, რომელთა სათავეში სდგას ყოფილი სამხედრო მინისტრი ბოჰემიისა და პრაგისა გრაფი მიხეილ კაროლი, ახალ გამოსვლებისათვის ემზადებიან. უნგრეთს უეჭველათ მოელის კაბინეტის კრიზისი იმის გამო, რომ მოკავშირეებმა მოითხოვეს, რათა საზავო დელეგაციაში შევიდენ სოციალისტებიც, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში დელეგაციას როიალისტური ხასიათი აქვს

**ფრანგული პრესის ცნობები**

გუშინ უმაღლესი საბჭო მსჯელობდა ავსტრიის დახმარებასა და სკაპაფლოუში დაღუპულ ფლოტის ანაზღაურების შესახებ. შეერთებულ შტატების წარმომადგენელი ამ სხდომას დაესწრო.

გაზეთ „იმ ლიბრის" ცნობით ლოიდ ჯორჯი დღეს ქვედა პალატაში მოვა მოხსენებით ევროპის საერთო მდგომარეობის და განსაკუთრებით კი ოსმალეთისა და რუსეთის საკითხების შესახებ.

გუშინ დეპუტატთა პალატაში პრეზიდიუმის არჩევნები ხდებოდა: პალატის თავმჯდომარეთ ხელახლა დეშანელი აირჩიეს.

**ბოლშევიკური ცნობები.**

მოსკოვი. 21 დეკ. ნარვის რაიონში ცხარე ბრძოლაა. ჩუდის და პსკოვის ტბების სრუტის რაიონში ჩვენი მზვერავები გადავიდნენ რა დასავლეთის ნაპირზე, თავს დაესხნენ სოფ. ნეროპინს. პსკოვის რაიონში არტილერიის სროლაა ორივეს მხრივ. კიევის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ბრძოლით დაიკავეს ფასტოვის მახლობლათ მდებარე ადგილები. ხარკოვის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა კონსტანტინოგრადიდან 30 ვერსით დაშორებული სოფლები დაიპყრეს. კუპიანის რაიონში ჩვენი ნაწილები ქალაქ იზიუმს 20 ვერსით მიუახლოვდენ. ბრძოლით დავიპყარით საიდგური კანტემიროვკა. ცარიცინთან საარტილერიო ბრძოლაა. კრასნოვოდსკის მიმართულებით ჩვენი წინსვლა კარგად მიმდინარეობს. სერგაჩის რაიონში მზვერავთა შეტაკებებია. ნოვონიკოლაევის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მთელი რიგი სოფლებისა დაიპყრეს.

ბარნაულის რაიონში ჩვენი ჯარები ქ. ბიისკში შევიდნენ. პარტიზანთა რაზმებმა ქ. კუზნეცკი დაიკავეს.

სარატოვი. 19 დეკ. დაღესტანის ნაწილები ავიწროებენ დენიკინს და იძულებულს ხდიან მას ცარიცინის ფრონტიდან გადიყვანოს რაზმები.

ნაუენი. 19 დეკ. მოლაპარაკება ლიტვინოვისა ინგლისის წარმომადგენელ ო-გრედისთან შეწყდა. ინგლისის დელეგაციამ მოითხოვა განთავისუფლება ინგლისის ყველა [illegible] ტყვეების. სამაგიეროთ ინგლისი [illegible] ლიტვინოვმა განაცხადა, რომ ინგლისი მხოლოდ მაშინ ჩამოაგდებს ზავს, როდესაც დაინახავს მთელ რუსეთში კანონიერ და მაგარ მთავრობას.

# ნინო ჩხეიძის იუბილეი

კვირა დილით სახელმწიფო თეატრის წინ აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. ყველა კასისაკენ მიიჩქაროდა, მაგრამ სახეზე საშინელი მოწყენილობა ეხატებოდა, როდესაც კასიდან ცარიელი ბრუნდებოდა. ბილეთები წინდაწინ გაყიდულიყო და ამიტომ ბევრი გულნატკენი დაბრუნდენ.

11 ნახ. საათზე რუსთაველის ქუჩაზე გამოჩნდა საგანგებოთ მორთული ავტომობილი. ხალხი დიდის აღტაცებით და ოვაციებით შეხვდა საყვარელ იუბილიარს. 12 ნახ. საათზე ზეიმი გახსნა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ბარათაშვილმა. თავმჯდომარემ განუმარტა საზოგადოებას ის დიდი ღვაწლი, რაც იუბილიარმა გაუწია ქართულ თეატრს და ქართველ ერს. ამის შემდეგ გუნდმა იმღერა „მრავალ ჟამიერ", რომლის დროსაც სცენაზე გამოჩნდა იუბილიარი. დამსწრე საზოგადოება ტაშის კვრითა და „ვაშას" ძახილით შეეგება მას.

პირველად იუბილიარს მიესალმა კ. ყიფიანი, შემდეგ დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის სახელით ივ. გომართელი, ქალაქის გამგეობის, ქალთა კავშირის, პროფესიონალური კავშირების, წერა-კითხვის საზოგადოების და სახელმწიფო თეატრის, რედაქციების და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. დიდი აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში პატარა გოგომ, რომელიც მიესალმა იუბილიარს საბავშო თეატრის სახელით. უკანასკნელად სიტყვას ამბობს იუბილიარი, სადაც ის გაორკეცებულის ენერგიით აღუთქვამს მუშაობის განგრძობას. სიტყვის დროს იუბილარს სიხარულის ცრემლები ერევა და იძულებული შეიქმნა სიტყვა შეეწყვიტა.

მე 2 განყოფილებაში დაიდგა „აბესალომ და ეთერის" მეორე მოქმედება.

თეატრის დარბაზიდან გამოსული საზოგადოება გარეთ უცდის იუბილიარს და „ვაშას" ძახილით აცილებს მას, საგანგებოთ მორთულ ავტომობილამდე.

დილის ზეიმს დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარე ნ. ნ. ჟორდანია, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი, დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგები, დამფუძნებელი კრების წევრები და სხვა საპატიო სტუმრები.

საღამოს თეატრის დარბაზს აუარებელი ხალხი აწყდება, მაგრამ აქაც ბევრი მათგანი იძულებულია უბილეთობის გამო უკანვე გაბრუნდეს.

წარმოდგენილ იქნა „უბედური ნაბიჯი" და „ლალატის" უკანასკნელი მოქმედება. ორივე პიესაში იუბილიარმა საუცხოვოთ შეასრულა თავისი როლები.

წარმოდგენის შემდეგ სიტყვებით მიმართეს: მსახიობ შ. დადიანმა და მსახიობთა კავშირის წარმომადგენელმა. ლექსები წარმოსთქვეს ცვარ-ნამმა და გრიშაშვილმა.

მეტად ნასიამოვნები საზოგადოება დაიშალა ღამის 1 საათზე.

# ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

✦ საქართველოს მისიამ იტალიაში პარიზის დელეგაციასთან შეთანხმებით მიმართა ამ დღეს ეკონომიურ საბჭოს მემორანდუმით, რომლითაც ითხოვა საქართველოსთვის სასურსათო დახმარება. უმაღლესი ეკონომიური საბჭო რომში შეიკრიბა 21 და 22 ნოემბერს და იქონია მსჯელობა საერთოდ დახმარებაზე ძველი რუსეთის ყველა იმ ნაწილთათვის, რომელნიც განთავისუფლებულნი არიან ანარქიისაგან და სასურველად სცნო, რათა ყველა სახელმწ., შეძლებისდაგვარად დახმარება აღმოუჩინონ ამ ქვეყნების ეკონომიური აღორძინების საქმეს. კერძოთ საქართველოს პურით დახმარების შესახებ უმაღლესი საბჭოს წევრები შეთანხმებულან, რომ იტალიის მთავრობა მიაწვდის საქართველოს პურს იმ ნაწილიდან, რომელსაც თვით თავის საჭიროებისათვის ღებულობს. თითონ იტალიის მთავრობას თანხმობა განუცხადებია მიაწოდოს პური საქართველოს ოდესიდან, საიდანაც თითონ გააქვს ხორბალი.

✦ ცხინვალიდან შინ. საქმ. სამინისტროს აუწყებენ, რომ მთაოსეთის განიარაღება გრძელდება. ჯავის საზოგადოების უმრავლესობამ იარაღი უკვე ჩააბარა დანარჩენებიც განაგრძობენ იარაღის ჩაბარებას. ახალი სასადლ-

თოები უკვე გაიგზავნენ გორში. მოროტ-მომქმედნი, რომელნიც არევ-დარევას იწვევდენ და გამოსვლებს აწყობდენ ტყეებში მიიმალენ.

✦ **სასურსათო ბარათის მიცემის წესი.** თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება აცხადებს მუშა-მოსამსახურეთა საყურადღებოდ, რომ ის უკვე შეუდგა სასურსათო წიგნაკების და პურის ბარათების დარიგებას. სასურსათო წიგნაკების და პურის ბარათების მისაღებად საჭიროა წარდგენილ იქნეს მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთა 2—2 სია. ამ ფორმის მიხედვით, რომელსაც სასურსათო განყოფილება იძლევა სიაში შეტანილ უნდა იქნან: მამა და დედა (თუ მათ შრომის უნარი დაკარგული აქვთ და ცხოვრობენ შვილთან ან ქალთან) ცოლი, დები და ძმები (ორი უკანასკნელი 17 წლამდე). სიები შემოწმებულ უნდა იქნეს დაწესებულებათა და წარმოებათა უფროსების ან საქარხნო კომიტეტების, მოსამსახურეთა აღმასრულებელ კომიტეტის, სათანადო პროფესიონალურ კავშირთა გამგეობის მიერ და გატარებულ უნდა იქნეს შრომის სამინისტროს რეგისტრაციაში. სიებში მოთავსებულ ყალბი ცნობებისათვის დამნაშავენი გამორიცხულ იქნებიან მომარაგების ფონდიდან. იმ დაწესებულებებს და წარმოებებს, რომელნიც ვერ მიიღებენ ბარათებს 1 იანვრამდე, ამ დღიდან შეუწყვეტენ ნივთების მიცემას სახელმწიფო მომარაგების ფონდიდან.

✦ **საფრანგეთში მიმავალ სტუდენტთა საყურადღებოთ.** დღეს, საღ. 5 ს. მიემგზავრებიან მეორე ჯგუფის (საფრანგეთის ჯგუფის) სტუდენტები. ყველანი უნდა გამოცხადდენ თფილისის სადგურზე საღამოს 5 საათისათვის.

✦ **ერობის არჩევნები.** საქართველოში ერობათა მეორე არჩევნების ვადა მომავალი წლის 20 იანვარს თავდება. ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ დამფუძნებელ კრების მმართველობის კომისიაში შეიტანა კანონ-პროექტი, რათა ეს არჩევნები გადადებულიყო ორი წლით. კომისიამ ეს პროექტი განიხილა და დაადგინა ხსენებული არჩევნები ერთი წლით გადაიდოს.

✦ **ადმინისტრაციის შესანახად.** მმართველობის კომისიამ მოიწონა შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ადმინისტრაციის შესანახად ამა წლის 1 სექტემბრიდან მომავალ წლის თებერვლამდე 2,158,075 მან. გადადების შესახებ.

✦ **სახელმწიფო თეატრში.** დღეს, 23 დეკემბერს ვ. დოლიძის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე", ოთხშაბათს, მე-4 გასტროლი ჰ. კოშიცისა „ევგენი ონეგინი", ხუთშაბათს, 25 დეკემბერს დ. არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე".

✦ **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება ს. დ. „ეკონომიურ-ფილოსოფიურ წრეში" მეხ. ხოშტარიას მორიგი ლექცია.

✦ **თფილისის სასამართლო პალატის წევრი გ. ზ. ჩაჩიბაია** აცნობებს თფილისის, ქუთაისის და სოხუმის საოლქო სასამართლოების ოლქში მცხოვრებ ნაფიც ვექილებს, რომ აღნიშნულ პალატის დეპარტამენტების საზოგადო კრების 1919 წ 6 დეკემბრის დადგენილებით მინდობილი აქვს მას ნაფიც ვექილების საერთო კრების მოწვევა საქართველოს ნაფიც ვექილთა საბჭოს ასარჩევად და თანახმად 358 მუხ. სას. დაწ. წესდ. კრების თავმჯდომარეობა. კრება ესე დანიშნულია 1920 წ. 7 თებერვლისათვის ქ. თფილისში სასამართლო დაწესებულებათა შენობაში დილის 11 საათზე. ნაფიცმა ვექილებმა არა ქართველებმა აუცილებლად უნდა წარმოუდგინონ 20 იანვრამდე 1920 წ. თფილისის სასამართლო პალატის მისამართით, მას, ჩაჩიბაიას, საქართველოს ქვეშევრდომობის დასამტკიცებელი საბუთები.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღ. 6 საათ., სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: ცენტრალური განყოფილება (მუშათა კლუბი): 1) ექ. ტურიაშვილისა „ჰიგიენა"; 2) ვ. ბარნოვი „ქართული მწერლობა". 1-ლი განყოფ. (ნაძალადევი): 1) შალამბერიძე „ქიმია"; 2) ი. ნაკაშიძე „სახელოვან კაცთა ცხოვრება". მე-3 განყ. (ჩუღურეთი): 1) კაპ. გორგაძე „საქართველოს გეოგრაფია"; 2) ექ. ციცხლაძე „საუბარი ჯანმრთელობაზე". მე-6 განყ. (ერთობის უბანი): 1) ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები"; 2) ი. ანთაძე—„საქართველოს ისტორია".

✦ **შინაგან საქმეთა სამინისტრომ** ამ მოკლე ხანში შეაქვს მთავრობაში მოხსენება, რესპუბლიკის ყველა ქალაქებსა და მაზრებში მოეწყოს კურსები კომისრებისა და მილიციელთათვის. ამას გარდა სამინისტრო იმუშავებს ინსტრუქციებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ადმინისტრაციისა და მილიციის მოხელეებმა თავის მოქმედების დროს. კურსების მოსაწყობად და ინსტრუქციის გამოსაცემად სამინისტრო მთავრობას სთხოვს 1 მილიონ მანეთს. კურსები პირველად მოეწყობა თფილისში, ქუთაისში და სოხუმში, შემდეგ კი სხვაგან.

* * *

დღეს, საღამოს 5 ს., ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში შესდგება შეერთებული სხდომა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის, ავლაბრის მუშათა კლუბის, სახალხო გვარდიის შტაბის, კორინსკისა და ხოშტარიას ქარხნების პროფ. კავშირის და ავლაბრის რაიონის მკერავ ქალთა პროფესიონალური კავშირისა, სადაც მოწვეულია შრომის განყოფილების გამგე ამხ. ათაბეგოვ-ტუმასი ავლაბრის რაიონში იაფფასიან სასადილოს გახსნის იესახებ მოსალაპარაკებლად. **კომისია**

**პროვინციის ქრონიკა**

**ოზურგეთი.** 27 დეკემბერს ოზურგეთში გაიხსნება სოციალ-დემოკრატიული პარტიის გურიის სამაზრო კომიტეტის სხდომა. კომიტეტის წევრთა დასწრება სავალდებულოა. კომიტეტის პრეზიდიუმი.



## ვანო საათაშვილი

შაბათს, 20 დეკემბერს, ქ. თფილისში, ხან მოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ახალგაზრდა ქართველი მწერალი ვანო საათაშვილი.

იგი დაიბადა 1887 წ. ქ. გორში. სწავლა დაამთავრა თფილისის საფერშლო სკოლაში, მსახურობდა უფროს ფერშლათ კახეთის რკინის გზის ამბულატორიაში.

განსვენებული ღარიბი დედმამის შვილი იყო. ადრე დაობლდა. დიდის გაჭირვებით დაამთავრა საფერშლო კურსი.

ამ გაჭირვებამ ვანოში აღანთო რევოლიუციონური სული. იგი მოწაფეობის დროსვე ჩაება განმანთავისუფლებელ მოძრაობაში.

1905 წ. იგი ახალგაზრდული გატაცებით შეუდგა ქართლის სხვადასხვა სოფლებში პარტიულ მუშაობას, რომელმაც თავისი ფანგარო, გაბედული სახალხო მოღვაწეობით დაიმსახურა მეჩავი ხალხის ღრმა სიყვარული და პატივისცემა.

დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა ქებითა და მადლობით იხსენიებდა ქართლში

სამწერლო ასპარეზზე ვანო საათაშვილი გამოვიდა 1905 წ.

იგი თანამშრომლობდა ჟურნალ „ეშმაკის მათრახში", „მიწა"-ში, „გლეხში", სოციალ-დემოკრატიულ სხვადასხვა გაზეთებში და სხ.

სწერდა მშვენიერ, ხალხის, განსაკუთრებით სოფლის ცხოვრებიდან ეს იაზებს, მოთხრობებს. ათავსებდა აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის წერილებს.

მხურვალე მონაწილეობას იღებდა აგრეთვე საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში" და „ნაკადულში". მისი ერთი საყმაწვილო პიესა „ცელქი ვანო" თფილისის სცენაზედაც წარმოადგინეს. და წერილი აქვს სხვა პიესებიც. ამ ბოლო დროს იგი შევიდა გიმნაზიის კურსებზე, რომელიც წელს უნდა დაემთავრებინა და უნდა შესულიყო უნივერსიტეტში, მაგრამ სიკვდილმა აღარ აცალა მიზნის მიღწევა. განსვენებულს დარჩა წვრილი ცოლ-შვილი.

არასოდეს არ დაივიწყებს ქართველი საზოგადოება ვანო საათაშვილს, „გლეხვანოს" და „ვან—სანს", როგორც ახალგაზრდა ნიჭიერს მწერალს და გულის კვნესით იტყვის პოეტის სიტყვებს: „უდროთ იყო შენი სიკვდილი, ვინ უწყის რაოდენ საუნჯენი წარილი თანა".

მშვიდობით, ნახვამდის ჩემო საყვარელო, ჩემო სულის ნათესავო და მესაიდუმლე მეგობარო ვანო. ჩემი გული იქნება შენი სამარე, რომლის ყვავილებსაც ერქმევა: ჩემი ცრემლები.

ნახვამდის, ნახვამდის, ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო ვანო.

საუკუნო იყოს ხსენება შენი...

**გ. ქუჩიშვილი.**

## უცხოეთი

**რუსეთი.**

**მთლიანი რუსეთი.** პარიზში საზონოვს დენიკინმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: ჩვენი მიზანია მთლიანი რუსეთის აღდგენა მთავარ სარდლობას არ შეუძლია დაუშვას ახალ სახელმწიფოების მიერ რუსეთის ქონების გაფლანგვა; როგორც სჩანს, საქართველო და აზერბეიჯანი ჰქრავენ სხვადასხვა ხელშეკრულებებს უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებთან დიდ რუსეთის ქონების განაწილების შესახებ. დენიკინი აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულებებს არავითარი სავალდებულო მნიშვნელობა არ ექნება მომავალ მთლიან რუსეთისათვის.

**დენიკინელები თავიანთების შესახებ.** დენიკინელთა გაზ. „დონსკაია რეჩ" ი სწერს: დღევანდელი დღე არის დღე მფლანგველობისა დღე ქურდობის და ძარცვა-გლეჯის, რომელიც ანადგურებს მომავალის საზრდოს, ძირს სცემს განთავისუფლების საქმეს. მთელმა „ზურგმა" საჩქიეში მოიკალათა და არავის ახსოვს ფრონტი, საიდანაც ასეთი ხმები ისმის: „ჩვენ ვოეფრჩებით ფრონტს და შემდეგ თქვენსკენ გამოვილაშქრებთ"-ო. გაზეთის აზრით უკეთესია პირიქით მოხდეს: საზიზღარ ტალახით წაბილწულ რუსეთის ველებს გასუფთავება ზურგიდან უნდა დავიწყოთო. მეორე გაზეთი „რუსკაია მისლ"-ი აღნიშნავს აგრეთვე „ზურგის" გახრწნას და უხსნის ბურჟუაზიას, რომ უკანასკნელმა მაინც არ უნდა დაივიწყოს თავისი მოვალეობა მოხალისეთა სარდლობისადმი, რომელმაც მას ხელშეუხებლათ შეუნახა თავისი ქონება. გაზეთი მოუწოდებს ბურჟუაზიას თავი განებოს უსაზღვრო სპეკულიაციას.

**საფრანგეთი.**

**ხალხთა ლიგის შემადგენლობა.** ხალხთა ლიგის ბედი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოთ გამორკვეული. როგორც ამბობენ, იგი ძალაში, სხვათა შორის, მანამდე არ შევა, სანამ საბოლოოთ დამტკიცებული საზავო ხელშეკრულებები შეტანილი არ იქნება საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ხელშეკრულებათა საბოლოო რატიფიკაციას კი ბევრი დაბრკოლება უხვდება წინ, სხვათა შორის, ისიც, რომ ამის გარშემო ამერიკის სენატში კამათი ძალზე გაჭიანურდა. ლიგაში შევლენ ხუთი მოკავშირე და შეერთებულ სახელმწიფოების—ბრიტანეთის, საფრანგეთის, შეერთებულ შტატების, იტალიისა და იაპონიის წარმომადგენელნი და აგრეთვე წარმომადგენელნი ბელგიის, საბერძნეთის, ბრაზილიისა და ისპანიის. უკვე გადაწყვეტილია, რომ საფრანგეთის წარმომადგენელი იქნება ლეონ ბურჟუა, იტალიის—ტიტონი, იაპონიის—ან ლონდონისა და ან პარიზის ელჩი; საბერძნეთის წარმომადგენელი იქნება ვენიზელოსი, ბელგიის—გიმანსი, ისპანიის,—ალბათ, რომანონესი. ინგლისის წარმომადგენელი იქნება პირველ სხდომაზე ლორდი კერზონი. ამერიკისა და ბრაზილიის წარმომადგენლები ჯერ არ არიან დასახელებულნი.

**იტალია.**

**საერთაშორისო ზომები.** ამას წინათ ჩვენ მოვათავსეთ ცნობა საერთაშორისო ეკონომიურ საბჭოს დარსების შესახებ, რომელსაც ზომები უნდა გამოენახა საერთაშორისო ეკონომიურ კრიზისის თავიდან ასაცილებლათ. საბჭო განაგრძობს მუშაობას. საფოსტო სატელეგრაფო და სატელეფონო დამოკიდებულების მოსაწესრიგებლათ საბჭომ გადასწყვიტა მოიწვიოს დაინტერესებულ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი—სპეციალისტები, რომლებიც გამონახავენ გზებს მიმოსვლის მოსაგვარებლათ. საბჭოში დაიბადა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ დამოკიდებულებაში უნდა იყოს საბჭო მომავალ ხალხთა ლიგასთან. სხვადასხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა სხვადასხვა აზრი გამოსთქვეს. ბოლოს ხალხთა ლიგის წარმომადგენელმა [illegible] განაცხადა: [illegible] დახმარებას [illegible] მხარეებს [illegible] პოლიტიკაში ჩაყენების საქმეში. მისი აზრით, საბჭომ 1920 წლის გაზაფხულამდე მაინც უნდა იარსებოს იმ ფორმით, როგორითაც დღეს არის; შემდეგ კი იგი გადაკეთდება საერთაშორისო ეკონომიურ ბიუროთ, რომელიც შეთანხმებულათ იმუშავებს ხალხთა ლიგასთან.

**ოსმალეთი.**

**ტერიტორიალური ხელშეუხებლობა.** ინგლისურ წყაროების ცნობით საზავო კონფერენცია განიხილავს საკითხს ოსმალეთის ტერიტორიალურ ხელშეუხებლობის შესახებ და გადაუწყვეტია იგი ოსმალეთის სასარგებლოთ.

**აზერბეიჯანი.**

**ნავთეულობის გაზიდვა.** მთავრობის დადგენილებით ნება დართულია ნავთეულობის საზღვარ-გარეთ თავისუფლათ გატანა, გარდა მანქანის ზეთისა, რომელიც შეიძლება გატანილ იქნეს საქონლის გაცვლა გამოცვლის წესის თანახმათ.

**სომხეთი.**

**თურქესტანის სომხები.** ფერგანის ოლქის ქ. კოკანდის სომხებმა აცნობეს სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, რომ მათ სურთ გადასახლდენ სომხეთში და იცხოვრონ იქ მუდმივ. ამასთანავე ისინი სთხოვენ მთავრობას მიიღოს ზომები გადასვლის საქმის მოსაწესრიგებლათ, რაც დიდათ აბრკოლებს მათი სურვილის განხორციელებას.

**დაღესტანი.**

**დენიკინის წინააღმდეგ.** ჩრდილო კავკასიისა და დაღესტანში მოხალისეთა წინააღმდეგ მოქმედ ჯარების მთავარ-სარდლათ მიწვეულ იქნა გენ. ლ. კვინიტაძე.

## გვარდიის დღე

**პროვინციაში.**

**ხაშურის** დემოკრატიამ დიდის ზეიმით იდღესასწაულა გვარდიის დღე. თფილისიდან დღესასწაულზე დასასწრებლათ მოწვეული იყო დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. ნიკიფორე იმნაიშვილი. დილის ათ საათზე გვარდიის შტაბიდან გაისმა ტყვიის მფრქვეველის სროლა. ეს იყო ნიშანი დღესასწაულის დაწყებისა. სროლას მოჰყვა დეპოს ხანგრძლივი საყვირის ხმა. ამის შემდეგ ყველა დაწესებულებებიდან და სასწავლებლებიდან მრავლათ დაიძრა ხალხი თავთავიანთი დროშებით თავისუფლე-

## ახალი წიგნები

**3.**

**Н. Ленинъ. Пролетарская революція и ренегатъ Каутскій,**

(დასასრული)

დიქტატურა არის რევოლიუციური ძალ-დატანება—აი რას ვგებულობთ ლენინს ამ განმარტებიდან, აი ნამდვილი მეტაფიზიკური მსჯელობა! ძალდატანება (насиліе) ყველგან, ყოველგვარი პირობებში—ეს არის პროლეტარიატის დიქტატურის განმარტება? რა პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა ქონდეს ამ განყენებულ ფორმულას? ამ ფორმულის აზრით ხომ ყოველგვარ ისტორიულ ეკონომიურ პირობებში ყოფილა შესაძლებელი პროლეტარიატის დიქტატურა, ოღონდ იყოს საჭირო ძალ-დატანება, რევოლიუციური ამბოხება. ლენინის ამ ბრძნულ ფილოსოფიას რომ გავყვეთ, მაშინ პროლეტარიატის დიქტატურა რუსეთში განხორციელდებოდა ახლა კი არა, ამ 25 წლის წინათაც, უფრო ადრეც, თუ კი ერთს მაგარ აჯანყებას მოვახდენდით.

ფიზიკურ ძალის კრეტინიზმის მოციქულს ლენინს ჰგონია, რომ თუ არ ძალ-დატანება, თუ არ აჯანყება, ტყვიის-მფრქვეველები და ზარბაზნები, თუ არ სამოქალაქო ომი და ძმათა სისხლის ღვრა, ისე არ შეიძლება მოხდეს ღრმა ცვლილება, გადატრიალება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კაუცკის გამოთქმამ „დემოკრატიული გზით" ლენინს დაუკარგა დავთარი, და ლიბერალურ ბურჟუაზიის ბანაკში მოათავსა ის, რასაკვირველია, ერთი დიდი ლანძღვა-გინების შემდეგ.

საერთოთ შეიძლება ითქვას, რომ პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებელ ნიშანდობას არ შეადგენს ძალდატანება, როგორც ამას ფიქრობს ანარქო-სინდიკალისტი ლენინი, პირიქით ის შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც მუშათა კლასის იდეალი—წარმოების განსაზოგადოებრიობა თანდათან პოპულიარობას მოიპოვებს საზოგადოების უდიდეს ნაწილში, რომელსაც თვით წვრილი მესაკუთრე დარწმუნდება ცხოვრების მაგალითით კოლექტიური წარმოების მაღალ თვისებაში და ის პროლეტარიატის მოკავშირეთ გადაიქცევა, მაშინ ძალდატანება, მუდამ ხიშტების წვერებზე ჯდომა ლენინისაებით აღარ დასჭირდება პროლეტარიატს. ამიტომ ის არას დროს არ იქნება დემოკრატიის უარმყოფი.

აი, სწორეთ, სიმძიმის მთელი ცენტრი აქ არის ლენინ—კაუცკის შეტაკებაში. კაუცკი კითხვას ნათლათ აყენებს: დაინტერესებულია თუ არა პროლეტარიატი წმინდა დემოკრატიის მოპოვებაში, შეიძლება თუ არა ის იყოს საყოველთაო საარჩევნო უფლების წინააღმდეგი ბოლშევიკებსავით? ფაქტი ასეთია: რუსეთში ბოლშევიკებმა მოსპეს საყოველთაო საარჩევნო უფლება, პოლიტიკური უფლებები წაართვეს მილიონობით წვრილ მესაკუთრეთ და მთელ დემოკრატიულ ინტელიგენციას, უარყვეს დემოკრატიული რესპუბლიკა.

კაუცკის შრომის „პროლეტარიატის დიქტატურა" ს მიზანია დაიცვას საყოველთაო საარჩევნო უფლება ბოლშევიკების წინააღმდეგ, ის ამტკიცებს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არამც თუ უარყოფს წმინდა დემოკრატიას, დემოკრატიას საზოგადოთ, არამედ გულისხმობს მას. კაუცკის, მოყავს რა მთელი რიგი ციტატებისა მარქსიდან და იგონებს რა პარიზის კომუნას, ამბობს:

„რეჟიმს, რომელსაც ასე ძლიერ გაუდგამს ფესვები მასაში, არ აქვს არავითარი საბაბი დემოკრატიის დაესხას. მას არ შეუძლია ყოველთვის გვერდი აუხვიოს ძალდატანებას იმ შემთხვევებში, როდესაც ძალდატანება იხმარება ვინმესაგან დემოკრატიის ჩასახრჩობათ. ძალას მხოლოდ ძალამ უნდა გასცეს პასუხი. მაგრამ რეჟიმი, რომელმაც იცის, რომ მასა მის მხარეზეა, მიმართავს ძალდატანებას მხოლოდ იმიტომ, რომ დემოკრატია დაიცვას, და არა იმიტომ, რომ ის მოსპოს. ის ჩაიდენდა პირდაპირ თვითმკვლელობას, თუ ის მოისურვებდა უკუგდებას თავის ყველაზე უფრო საიმედო საფუძველს, საყოველთაო საარჩევნო უფლებას, ამ ღრმა წყაროს მძლავრ მორალურ გავლენისას".

აი, ეს არის საკითხის მარქსისტულ ლათ დაყენება. როგორ უპასუხებს ლენინი კაუცკის ამ ნათელ დასკვნებზე? აქ ჩვენ ვხვდებით სრულიად მოულოდნელ განცხადებას ლენინის მხრით. ის სწერს: „საკითხი საარჩევნო უფლების შეზღუდვის შესახებ არის ნაციონალურ თავისებურების, და არა დიქტატურის ზოგადი საკითხი. დიდი შეცდომა იქნებოდა წინდაწინ გვეთქვა, რომ მომავალი პროლეტარული რევოლიუციები ევროპაში, ყველა, ან მეთი უმრავლესობა უსათუოდ შეზღუდავენ საარჩევნო უფლებას ბურჟუაზიისათვის, ეს არ არის სავალდებულო დიქტატურის განხორციელებისათვის, ეს არ შეადგენს აუცილებელ თვისებას დიქტატურის ლოგიკურ შემეცნების, ეს არ შეიდის აუცილებელ პირობათ დიქტატურის ისტორიულ და კლასიურ შემეცნებაში". (გვ 38, ხაზი ლენინისა).

ამას რას ვყურობთ! ლენინმა ხომ ამ სიტყვებით მოსპო თავის თავი! აქედ ნ სჩანს, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლების მოსპობა ბოლშევიკების ნაციონალურ-რუსულ შემოქმედების ნაყოფი ყოფილა, თორემ პროლეტარიატს თავის დიქტატურისთვის სრულიად არ ესაჭიროება ის! მაშინ ხომ გაქრა მისი მეტაფიზიკური ფორმულა დიქტატურისა, რადგან თუ ამ უკანასკნელს არ ეწინააღმდეგება საყოველთაო საარჩევნო უფლება, წმინდა დემოკრატია, (რომელსაც ასე ეჯავრებოდა ლენინს) ე. ი. დემოკრატიული რესპუბლიკა, რა მნიშვნელობა ექნება ძალდატ ნებას (насиліе), რომელიც თვით ლენინმა ზევით აუცილებელ თვისებათ გამოაცხადა დიქტატურის დროს. ან პროლეტარიატის კლასობრივი ძალდატანება, ან საყოველთაო საარჩევნო უფლება და წმინდა დემოკრატია, ორში ერთი—ასე დგას საკითხი. კაუცკიც ხომ ამაზე ედავება ლენინსა და მის ამხანაგებს! ასე ებმება წინააღმდეგობის ქსელში საბრალო ლენინი და ვერავითარი ისტერიკა და ქუჩური ლანძღვა-გინება ვერ დაფარავს აქ მის უძლურებას კაუცკის რკინასავით ლოღიკის წინაშე.

ამ წიგნშივე ჩვენ ვტყობილობთ მეორე არა ნაკლებ საინტერესო აღიარებას და განმარტებას ლენინის მხრით.

ჩვენ ვიცით, რომ რუსეთის რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე ბოლშევიკებმა ეს რევოლიუცია მონათლეს სოციალისტურ გადატრიალებათ. როდესაც სოციალ-დემოკრატები მათ უმტკიცებდენ, რომ რევოლიუცია არის ბურჟუაზიულ დემოკრატიული თავიდან ბოლომდე, ბოლშევიკებმა ისინი ხალხის მოღალატეებათ გამოაცხადეს. რას სწერს ახლა ლენინი? მოვიყვანოთ რამდენიმე მეტათ დამახასიათებელი ადგილი.

„დიახ, ჩვენი რევოლიუცია არის ბურჟუაზიული, ხანამ ჩვენ მივდივართ გლეხობასთან ერთად, როგორც მთელთან. ასახდროს ისტორიულ პროცესის ამ აუცილებელ საფეხურს ვერ გადავლახავთ, არც დეკრეტებით მისი გაუქმება არ გვ შეგვიძლია". როგორც ხედავთ ჯერ ჯერობით თითქოს საქმე მიდის, როგორც შეეფერება ნამდვილ მარქსისტს. გავყვეთ ქვევით. შემდეგ რაღა მოხდა?

„მაგრამ 1917 წ., აპრილიდან, ოქტომბრის რევოლიუციის დიდი ხნის წინ, ჩვენ აშკარათ ვეუბნებოდით და ვუხსნიდით ხალხს: რევოლიუციას ახლა ამაზე გაჩერება არ შეუძლია, რადგან ქვეყანა წავიდა წინ, კაპიტალიზმმა ნაბიჯი გადადგა წინ, უკიდურესათ გაიზარდა სილატაკე, რომელიც მოითხოვს (სურს ვინმეს ეს თუ არა) ნაბიჯს წინ, სოციალიზმისაკენ, რადგან სხვა გზით წინსვლა, სხვა გზით გადარჩენა ქვეყნის, ომისაგან განადგურებულის, სხვანაირათ შემსუბუქება მშრომელთა ტანჯვის არ შეიძლება.

„მოხდა სწორეთ ის (sic!), როგორც ჩვენ ვამბობდით. რევოლიუციის მსვლელობამ დაამტკიცა (?!) ჩვენი მსჯელობის სიმართლე. დასაწყისში მთელ გლეხობასთან ერთად მონარქიის, მემამულეების და საშუალო საუკუნოების წინააღმდეგ (და მაშას დამე რევოლიუცია რჩება ბურჟუაზიული, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული), შემდეგ ღარიბ გლეხობასთან, ნახევრათ პროლეტარიატის და ყველა გაყვლეფილთან ერთად კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მათ რიცხვში სოფლის მდიდრების, „კულაკების" და სპეკულიანტების წინააღმდეგ, იმდენათ რევოლიუცია ხდება სოციალისტური. იმის ცდა, რომ პირველსა და მეორეს შორის (ბურჟუაზიულ-დემოკრატიულს და სოციალისტურის შორის, ა. ე.) ხელოვნურათ ჩინური კედელი, რომ განცალკევდეს ისინი ერთი მეორისაგან გარდა იმისა, რომ პროლეტარიატს ესაჭიროება მომზადება და სოფლის დაახლოვება, არის უდიდესი დამახინჯება მარქსიზმის, არის მისი ლიბერალიზმათ გადაქცევა". (გვ. 93, ხაზი ყველგან ლენინისა).

აი ლენინის თავისებური სოციოლოგია!

ექვსი თვის განმავლობაში რუსეთში დასრულებულა ბურჟუაზიული რევოლიუცია, მერე ოქტომბრის გადატრიალებიდან დემოკრატიულ-გლეხური რევოლიუცია გაგრძელებულა რაღაც ორი სამი თვე, შემდეგ სამი-ოთხი თვის განმავლობაში მომხდარა სოფელში სოციალური დიფერენციაცია ღარიბ და მდიდარ გლეხკაცობისა და დაწყებულა სოციალისტური რევოლიუცია! ბურჟუაზიული, დემოკრატიულ-გლეხური, სოციალისტური რევოლიუციები—ერთი წლის განმავლობაში! ლენინს ოდესღაც, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის მარქსიზმს იზიარებდა, გაეგონია, რომ არის სოციალურ-ეკონომიურ პერიოდთა რიგობა, თანდათანობა, მაგრამ მის ანარქისტულ გონებაში ამ მეცნიერულ ჭეშმარიტებას მიუღია რაღაც წარმოუდგენელი მახინჯი ფორმა. ლენინისთვის ის ისტორიული ეპოქები, რომლებიც ჩვეულებრივათ რამდენიმე ათეულ წლებს საჭიროებენ, კალეიდოსკოპურ სისწრაფით მისდევენ ერთი მეორეს.

ნუ დაგავიწყდებათ, მკითხველო, რომ ამ თავის ანარქისტულ აბდა-უბდას ლენინი ასაღებს მარქსის სახელით, ყოველ ფეხის გადადგმაზე მას იმოწმებს. სასაცილო არაა ამის შემდეგ, რომ ლენინი კაუცკის „თეორეტიკოსს" ფრჩხილებში უწოდებდეს?!

ლენინი, რომლისათვის სოციალიზმი შედეგია „უმაგალითო სილატაკის" და „ომისგან საერთო განადგურებისა", კაუცკის ნოტაციებს უნდა უკითხავდეს მარქსიზმის დავიწყებაზე!

როდესაც კაუცკი შენიშნავს, რომ შეუძლებელია თეორეტიული რწმუნებით გლეხობის გასოციალისტება და მას ეჭვი შეაქვს რუსი გლეხების ასე უცებ გაკომუნისტებაში,—როგორ არაო, გაიძახის ლენინი, ამა და ამ საბჭოთა ყრილობაზე ამდენი და ამდენი დეპუტატი „ბოლშევიკურ პროლეტარიატს რომ არ დაუცდა და სოფელში კლასიურ დანაწილებისთვის, მოგვითხრობს ლენინი, რომ არ შესძლებოდა მისი მომზადება და ცხოვრებაში გატარება და ისე უცებ 1917 წ. ოქტომბერ-ნოემბერში დეკრეტით გამოეცხადებინა სამოქალაქო ომი და „სოციალიზმის შემოღება" სოფელში—მაშინ ეს იქნებოდა მარქსიზმის ბლანკისტური დამახინჯება, მაშინ ეს იქნებოდა უმცირესობის ნების უმრავლესობის თავზე მოხვევა, ეს იქნებოდა თეორიული უაზრობა, იმის შეუგნებლობა, რომ საერთო გლეხური რევოლიუცია არის რევოლიუცია ბურჟუაზიული და რომ თუ არა მთელი რიგი საფეხურების გავლა, ისე მისი სოციალისტურათ გადაქცევა ჩამორჩენილ ქვეყანაში შეუძლებელია. კაუცკიმ ყველაფერი ეს აურ-დაურია" .. და სხვადასხვა. (გვ. 98)

რა ირონია. დეკრეტებით სოციალიზმი, მარქსიზმის ბლანკისტური დამახინჯება, გლეხური რევოლიუცია ბურჟუაზიულია, ჩამორჩენილ ქვეყანაში სოციალიზმი შეუძლებელია—ნეტავი ვის ეკამათება აქ ლენინი? თუ თავის თავს ამათრახებს! ყველა ამ ფიქრებს ქიშმართებზე ხომ დღიდან რევოლიუციის დაწყებისა სოც. დემოკრატია მუდამ უჩიჩინებდა ლენინსა და მის ამხანაგებს, მაგრამ მათ ბუნტარულ თავებში არაფერი არ შევიდა! კაუცკიც სწორეთ ამ დებულებების დაცვისათვის ამხილებს ლენინს, ის კი გამოდის და კაუცკის ნოტაციებს უკითხავს. ამას ჰქვია—გაღმა გადადგე, გამოღმა შეგეჩხრებოდე!

თუ იმას ფიქრობს ლენინი, რომ ყოველივე ის, რაზედაც ზევით სწერს, მან და მისმა პარტიამ შეისრულეს? თუ როგორ იხელმძღვანელეს მათ ზევით დასახელებული დებულებები, ამის მაჩვენებელია დღევანდელი რუსეთის ტრაგედია, ისიც ვიცით, თუ როგორ გაიარეს მათ „საფეხურების გავლა", რომელმაც მათ ხელში კარიკატურული სახე მიიღო. ჯერ დაანგრიეს ქვეყანა და ახლა ლექციებს გვიკითხავენ, როგორ უნდა რევოლიუციის წარმოება. პოლიტიკური ცინიზმი!

საერთოთ ჩვენი შთაბეჭდილება ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ასეთია: ამ ორი წლის განმავლობაში ლენინს მარქსიზმის არაფერი არ შერჩენია, მისი სახით ჩვენ წინ არის ტიპიური ანარქო-კომუნისტი.

**ალ. ჟორჟოლიანი**

ბის მოედნისაკენ, სადაც მშვენივრათ მორთული და დროშებით შეფერადებული ტრიბუნა იყო აღმართული. ტრიბუნის წინ ჩამწკრივდა გვარდია, შემდეგ რკინის გზის და ქალაქის მილიცია, რაიონის მილიცია, მოსწავლეები და მასწავლებლები. სრულს 11 საათზე პარადი მიიღო შტაბმა. შემდეგ ამისა გაიხსნა მიტინგი. ილაპარაკეს ორატორებმა ყველა ორგანიზაციებიდან. მიტინგს დაესწრო დიდ-ძალი ხალხი სოფლებიდან და ამ დღესასწაულმა მეტად დიდი და გამამხნევებელი შტაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. ხშირათ გაიგონებდით: „ეხლა-კი დავრწმუნდით, რომ მთავრობაც ყოფილა და ძალაც ჰქონებიაო".

სრულს 1 საათზე ეს მოზღვავებული ხალხი—იშვიათის წესრიგით გაემართა ძმათა სასაფლაოსაკენ—გორათზე, სადაც ასაფლავია ხაშურის გვარდიის სახელოვანი შულავერისა და ახალციხის გმირები. პროცესიას წინ მიუძღოდა მუშებისაგან შემდგარი ორკესტრი. ხაშურის შტაბი, სადგური, ქალაქის თვითმართველობის შენობა, პარტიული ბიურო, ბაზარი და დაწესებულებანი მწვანეულობით იყო მოკაზმული და მეტათ იშვიათ სანახაობას წარმოადგენდენ. დამსწრენი ყველა სადღესასწაულოთ იყვნენ მორთულნი და ყველას სახეზე გვარდიისადმი მადლობას ამოიკითხავდით. ამინდი მშვენიერი იყო.

ძმათა სასაფლაოზე აგებულია მშვენიერი ძეგლი. ეს ძეგლი ააგო მუშათა კლასმა თავისი კაპეიკებით და იმისდა მიუხედავათ, რომ ჯერ-ჯერობით დახმარებას არავინ არ უწევს, მუშის მძლავრი ხელი და ენერგია მაინც შესძლებს ძეგლის დამთავრებას.

ნაძვნარით იყო შეფერადებული ძმათა სასაფლაოს სამყარო და ერთი საათის წინ სახე გაბრწყინებულ ხალხი—ამ ჟამათ თავები ძირს დაეხარათ და სამგლოვიარო ჰიმნს თვალ აცრემლებულნი ისმენდენ. სასაფლაოზე წარმოითქვა სიტყვები.

ძმათა სასაფლაოდან ხალხი იმავე წესრიგით გაემართა სადგურისაკენ. გზადაგზა ისევე საერთო სადღესასწაულო ელფერი, სადღესასწაულო სიტყვები და ზეიმის სურათები იშლებოდა.

საღამოს მუშათა კლუბში გაიმართა მეტად შინაარსიანი საღამო-წარმოდგენით. დამფუძნებელი კრების წევრმა ამხ. ნ. იმნაიშვილმა წაიკითხა შინაარსიანი მოხსენება. ნიკო გურული.

---

ოზურგეთი. გვარდიის დღე მშვენივრათ ჩატარდა მთელ გურიაში და კერძოთ ოზურგეთში. ხალხმა ახლო-მახლო თემებიდან დილის 9 საათიდანვე იწყო დენა თავისუფლების მოედნისაკენ, სადაც უნდა გამართულიყო დღესასწაული. ეს ადგილი ვარდ ყვავილების გრეხილებით იყო მორთული, შუაზე აღმართული იყო ლამაზათ მოკაზმული ესტრადა ნოე ჟორდანიას სურათით. 12 ს. აქ რამდენიმე ათასმა კაცმა მოიყარა თავი, აქვე შეგროვდენ გუნდგუნდათ დაწყობილი ოზურგეთისა და მახლობელი თემებიდან ყველა სასწავლებლების მოწაფეები. გვარდიამ და ჯარის ნაწილებმა თავ-თავიანთი ადგილები დაიჭირეს და 12 ნახევ. საათზე დღესასწაული გაიხსნა. შემოქმედის მოწაფეთა გუნდმა შეასრულა ფოცხვერაშვილის ჰიმნი „დიდება". მიტინგმა ქუდის მოხდით პატივი სცა და მხედრებმა კი იარაღით სალამი მისცეს თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას, რომლის დროს „თქვენ მსხვერპლი გახდით" იგალობა ოზურგეთის უმაღ. დაწყებითი სასწავლებლის მოწაფეთა გუნდმა. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს სხვადასხვა დაწესებულებათა და პარტიათა წარმომადგენლებმა: უკანასკნელათ გვარდიის შტაბის სახელით დღესასწაული მიულოცა გვარდიასა და ჯარს მიხ. ბაგუნაიშვილმა. მიტინგის შემდეგ გაიმართა ჯარების პარადი, რომელსაც ხელმძღვანელობდა გვარდიის აფიცერი გრ. კვ-შალი, პარადი მიიღო გურიის გვარდიის უფროსმა პოლკ. მაცომაიამ, პარადის შემდეგ გაიმართა მანიფესტაცია მხედრობისა, მოსწავლეებისა და ხალხისა ქალაქის მთავარ ქუჩებზე, რის შემდეგ სამ საათზე ხალხი დაიშალა. პარადის შემდეგ გვარდიის სადგომში გაიმართა სადილი, რომელზედაც მოპატიჟებული იყვნენ სხვადასხვა დაწესებულებათა და პარტიათა წარმომადგენლები. ასეთივე ზეიმით იდღესასწაულა ეს დღე ხალხმა მთელ გურიაში.

საღამოს გაიმართა წარმოდგენა. ადგილობრივმა სცენის მოყვარეთა დასმა გვარდიელთა მონაწილეობით წარმოადგინა „პატარა კახი", რომელიც კარგათ ჩატარდა. წარმოდგენას საზოგადოება მრავალი დაესწრო. შემოსავალი გადაეცა გვარდიის შტაბს. ხ—ნ.

## ს.-დ. პარტიაში

ნავთლუღი. 18 დეკემბერს შესდგა ჩვეულებრივი კრება საქ. სოც. დემოკ. მუშათა პარტიის მე-7 რაიონულ კოლექტივისა. თავმჯდომარეობდა სიო ჟღენტი. დღიურ წესრიგში იყო გასარჩევი შემდეგი კითხვები: 1) სანაინის მცირე კოლექტივის კრების ოქმის განხილვა; 2) სასაკლაოს ფრაქციის თხოვნა; 3) მოხსენება რაიონიდან; 4) კობაძის შესახებ; 5) მდივნის ჯამაგირის მომატება; 6) განცხადებანი; 7) სარევიზიო კომისიის მოხსენება.

კრებამ იქონია რა მსჯელობა სანაინის მცირე კოლექტივის კრების ოქმის შესახებ, რომელიც შეეხებოდა მცირე კოლექტივის რეორგანიზაციას, დაადგინა: ვინაიდან კოლექტივს არ ჰქონია არავითარი ცნობა სანაინის ამხანაგებისაგან მათ მიერ განზრახულ მცირე კოლექტივის რეორგანიზაციის შესახებ, ამისათვის კოლექტივი ირჩევს ორ თავის წარმომადგენელს, რომლებიც გაეცნობენ სანაინის ამხანაგებს საერთოთ პარტიულ მუშაობას და მოახდენენ თავისი თანადასწრებით მცირე კოლექტივის რეორგანიზაციას.

მიღებულ იქნა სასაკლაოს ფრაქციის თხოვნა თეატრის დათმობის შესახებ 12 დეკემბრისთვის წარმოდგენის დასადგმათ, რომლის შემოსავალი გადადებული იქნება სასაკლაოს ბიბლიოთეკისათვის. მოხსენება რაიონისაგან გააკეთა აქსენტი რაზმაძემ, მან გააცნო კრებას მომხდარ არჩევნების მსვლელობა და აგრეთვე გამგეობაში გასულ პირების სია, რაიც სასურველათ სცნო კრებამ და დაამტკიცა რაიონულ გამგეობის არჩევნები. საერთო კრებაზე კობაიძის გამოსვლის შესახებ კრებამ დაადგინა არჩეულ იქნას კომისია, რომელიც არა უგვიანეს ორი კვირის განმავლობისა განიხილავს კობაიძის მოქმედებას. კომისიაში იქნენ არჩეული: გოგინაშვილი, სარჯველაძე და ხერხეულიძე. კრებამ დაადგინა დაენიშნოს მდივანს კოლექტივისას 1500 მანეთი თვეში.

მოისმინა რა კრებამ განცხადება რკინის გზის სასწავლებლის უმწეო მდგომარეობის და სწავლის არა ნორმალურათ მსვლელობის შესახებ, დაადგინა: გადაეცეს რაიონს ზომების მისაღებათ. იქონია რა მსჯელობაში კრებამ ზოგიერთ პირების არა სასურველი მოქმედების შესახებ რაიონულ გამგეობის არჩევნების დროს, დაადგინა: დაევალოს ადგილობრივ ფრაქციას გამოარკვიოს საქმის ვითარება. კრებამ დაამტკიცა სარევიზიო კომისიის მოხსენება და დაადგინა არჩეულ იქნას ხაზინადარი, რომლის განკარგულებაშიაც იქნება კოლექტივის ფული. ხაზინადრათ არჩეულ იქნა გოგინაშვილი. მდივანი.

## სახალხო გვარდიელთა შორის

თფილისი. 14 დეკ. ადგილობრივ მუშათა კლუბის დარბაზში შესდგა ორთაჭალის რაიონის სახალხო გვარდიელთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 130 გვარდიელი. თავმჯდომარეობდა ამხ. ვ. ალიხანოვი. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება მომენტზე, მოხსენება რაიონულ შტაბის მუშაობის შესახებ და რეორგანიზაცია რაიონულ შტაბისა. პირველ კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა მთავარ შტაბის წევრმა ზ. გურულმა. მან მოკლეთ განმარტა მთავრობის საგარეო და შინაური პოლიტიკა და საერთოდ თანამედროვე პირობები. რამოდენიმე შეკითხვა-განმარტების შემდეგ კრება კმაყოფილია მოხსენებით და ცხარე ტაშით აჯილდოვებენ მომხსენებელს. შემდეგ მოხსენებას აკეთებს რაიონულ შტაბის მუშაობის შესახებ შტაბის თავმჯდომარე ვ. ალიხანოვი, რომელმაც აღნიშნა რაიონულ შტაბის მთელი საქმიანობა. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში აღნიშნულ იქნა შტაბის დეფექტები, რაც კრებამ უმნიშვნელოთ ჩათვალა და გამოუცხადა მადლობა რაიონულ შტაბს ნაყოფიერ მუშაობისათვის, განსაკუთრებით პრეზიდიუმს. შტაბში წამოყენებულ იქნა 19 კანდიდატი. ღია კენჭის ყრის შემდეგ რაიონულ შტაბში გავიდნენ შემდეგი ამხანაგები: 1) ალიხანოვი ვართან, 2) ნაკაიძე შიშო, 3) პირველი გიორგი, 4) გრიგოლოვი რაჟდენ, 5) ტერელაძე მელიტონ, 6) ინწკირველი ვლასი, 7) კეკელიძე ვასილ; კანდიდატებად: 1) სარქისოვი არამ, 2) ბაინდუროვი ალ., 3) ათაბეგოვი ვასილი. ნაპერწკალი.

---

გვარდიის თეატრის გახსნა. 20 დეკემბერს არა ჩვეულებრივი სანახავი იყო მესანგრეთა სადგომი. ყველა გუნდების ბინები, შეფერადებული და სადღესასწაულო სახით გამოიყურებოდა. განათებული ეზო სასიამოვნო და სულის დამატკბობელ შთაბეჭდილებას სტოვებდა. თვით ახლათ გაკეთებული თეატრი გირლიანდებით მორთული დარბაზი, კოხტა, ლამაზი სცენა, მოღვაწეთა სურათების სერიები და შიგ სავსე გვარდიელებით და წარმომადგენლებით. თეატრის გახსნას დაესწრენ მთავრობის წარმომადგენლები, დამფუძნებელ კრების ს. დ. ფრაქციის მთავარ შტაბის შემადგენლობა, მრავალი ორგანიზაციების და პრესის წარმომადგენლები.

გვარდიის მუსიკამ დაუკრა გიმნი „დიდება" და აიხადა ფა და. სექციის თავმჯდომარემ ქ. კვერნაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საინტერესო გუნდის კულტურულ განმანათლებელ სექციის მუშაობა, მიზანი და მისი დიდი მნიშვნელობა გვარდიის ცხოვრებაში. „პირველი დასაწყისი ჩვენი გამოსვლისა შეიძლება ფერმკრთალი იყო, მაგრამ იმ სახალხო გვარდიას, რომელიც ორი წლის განმავლობაში მკერდით იცავდა დემოკრატიულ რესპუბლიკას, ეს ძლიერი ძალა, თანდათანობით, თუ მას დრო მისცა მტერმა, დაამტკიცებს, რომ გვარდიას იმის გარდა, რომ ბრძოლა შესძლებია, კულტურასაც ქმნის თავისი ძალებით. ყველა თანამგრძნობთა დახმარებით. სექციას ღრმად სწამს, რომ თანდათანობითი მუშაობით მკიდრო ნიადაგზე დააყენებს მუშაობას და ასე იდეია კულტურულ მუშაობის, მთელს გვარდიას მოედება და ძალა რეალური და მტკიცე ერის დარაჯის, გადაიქცევა კიდევ ძალათ თვითცნობიერებისა, რომელიც უტყუარი თავდებია წინსვლისა და ჩვენი სანეტარო სამეფოს სოციალიზმის დაახლოვებისა"

„თეატრი და ცხოვრების" რედაქციის სახელით ი. იმედაშვილმა, მიულოცა გვარდიას ასეთი დიდი საქმის ხელის მოკიდება და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა.

შემდეგ ვ. ჯუღელმა წაიკითხა რეფერატი გვარდიაში კულტურული მუშაობის შესახებ: „ამხანაგებო, დაიწყო მან, დღეს მაგონდება ერთი სურათი. როცა ჩვენ ძმათა სასაფლაოზე ვიყავით, იქ მარტო ისინი სჩანდენ, რომლებიც თავიდან დღემდე ჩვენი დემოკრატიის მდგომარეობასთან და სულთან არიან დაკავშირებული. იქ არ იყვნენ ის გაბატონებული კლასის წარმომადგენლები, რომლებიც სიტყვით ბევრს გაიძახიან სამშობლოს სიყვარულზე, მაგრამ საქმით, მათში სულ წინააღმდეგი ხდება. დღესაც აქ ამ დარბაზში ისევ იმ შემადგენლობას ვხედავ. ჩვენი შეიარაღებული დემოკრატია თავის ჩოწინაავეებით მუდამ მარტო და დამოუკიდებელი სახით ბრძოლის ველზე, და ის შეიარაღებულ დემოკრატია თავის შემოქმედ ნებით ყოველ დასვენების დროს ქმნის კულტურას, ეს დამამტკიცებელია იმის, რომ თუ ჩვენ დღეს თოფი გვიჭირავს ხელში, ამავე დროს ვოცნებობთ ეს თოფი გადავაკეთოთ შრომის იარაღათ და მით სულით ამაღლებული შევიდეთ სოციალიზმში.

მან ხაზი გაუსვა იმას, რომ თუ შტაბი კულტურულ მუშაობის გვარდიაში სათანადოთ ვერ აქცევდა ყურადღებას, ეს დამოკიდებული იყო ობიექტიურ პირობებზე. ეხლა კი, თუ მტერმა მოგვასვენა ამ საქმეს უფრო გავაფართოვებთ, და მკვიდრ ნიადაგზე დავაყენებთ.

შემდეგ მისალოცი სიტყვით გამოვიდა დამფუძ. კრების ს. დ. ფრაქციის წარმომადგენელი გ. გიორგაძე, რომელმაც ვრცელი და შინაარსიანი სიტყვით მოიგონა გვარდიის ღვაწლი და ხაზი გაუსვა იმას, რომ გვარდიამ გმირობა დაამტკიცა არა მარტო შინაურ ფრონტზე, არამედ—ის შეურყეველი შეიქმნა გარეშე ფრონტზე. უსურვა ეს პირველი ნაბიჯი მტკიცე ყოფილიყოს და ჩვენ ყოველი მხრივ მზათ ვართ დახმარება გაგიწიოთო.

ყველა ორატორების დამსწრე საზოგადოება ტაშის კვრით ეგებებოდა.

შემდეგ დაიდგა 2 მოქ. კომედია „ჯერ დაიხოცენ, მერე იქორწინეს, რომელიც კარგათ იქნა ჩატარებული სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა გვარდიის კახურ და გურული მოსიმღერეთა გუნდის გამოსვლამ. მიუხედავათ იმისა, რომ გუნდი სასწრაფოთ იყო მომზადებული, მაინც მოხდენილათ ჩატარდა სხვადასხვა სიმღერები.

შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი: წაკითხული იქნა სცენები, ლექსები და სხვა.

ა. წუწუნავამ დასასრულ დადგა გვარდიის ცხოვრებიდან ცოცხალი სურათები, საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა, დასასრულს თეატრის გახსნის აღსანიშნავათ გაიმართა ბანკეტი, რომელსაც ყოველ დარგებიდან, ორგანიზაციებიდან და მთავრობიდან დაესწრენ წარმომადგენლები. გ—ი.

## მუშათა შორის

თფილისი. 19 დეკ. შესდგა თფილისის საქონელთ-მზიდველთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის მორიგი სხდომა შ. კირაკოზოვის თავმჯდომარეობით.

პირველი კითხვის შესახებ შეშის საწყობის მეპატრონე ნიკოლოზ პრელაშვილი მოახსენებს გამგეობას, რომ შეშის ეზოს კავშირის წევრმა მანასე სირაძემ შეურაცყოფა მიაყენა უდანაშაულოთ მას და უდიერი სიტყვებით მოიხსენია მეშეშეთა კავშირი. გამგეობის თავმჯდომარის წინადადებით სირაძემ ბოდიში მოიხადა პრელაშვილის წინაშე.

შემდეგ დადგენილ იქნა: მიღებულ იქნენ ანდრეევის ბირჟის შეშის გადამზიდველები კავშირში წევრებათ მხოლოდ იმ პირობით, რომ დაიცვან მტკიცეთ თავიანთი არსებული ბირჟა. მოსმენილ იქნა წერილობითი განცხადება მეფენახეთა საზოგადოება „ალექსანდრეულის"-საგან, რის შესახებ დადგენილ იქნა: მოწვეულ იქნას თითონ საზოგადოების წარმომადგენელი შემდეგ სხდომაზე განცხადების შინაარსის არსებითათ გამოსარკვევათ. ვაგზლის ბიუროს შესახებ მოხსენება გააკეთა კავშირის საქმის მწარმოებელმა დ. ქუჩულორიამ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა ხსენებულ ბირჟაზე უწესრიგობა. კრებამ დაადგინა: 21 დეკ. მოწვეულ იქნას ხსენებულ ბირჟის წევრთა საერთო კრება, რომელსაც მიეცეს წინადადება დაქირავებულ იქნას მომწესრიგებლათ გარეშე პირი.

მეექვსე კითხვის შესახებ, რომელიც შეეხებოდა გამგეობის წევრის თომა მაისაშვილის განცხადებას, იმის შესახებ, რომ კოოპერატივთა კავშირის გამგეობის წევრმა მიმართა მას წინადადებით აღეთ კოოპერატივთა კავშირის საქონელთა გადაზიდ-გადმოზიდვის საქმე, პასუხის მგებლობის ქვეშ. გამგეობამ მიანდო თომა მაისაშვილს შეადგინოს ათიოდე წევრთა სია, რომლებიც ხელში კრულებას დასდებენ ურთიერთ შორის და კავშირთან კოოპერატივთა კავშირის საქონელი წესიერათ და პასუხისმგებლობის ქვეშ გადაზიდავში. ამ პასუხისმგებელ წევრებს უფლება ეძლევა საქონელი გადაზიდონ რიგს გარეშე, რასაკვირველია, მხოლოდ კოოპერატივთა კავშირისთვის,

უკანასკნელი კითხვის შესახებ, რომელიც შეეხებოდა შეშის ეზოში მომუშავეთა კავშირის წევრების განცხადებას, რომ წევრმა მონასე სირაძემ ჯერ გაყიდა ერთი ფურგუნი რიგით და ეხლა ისევ შემოყვანას აპირებს მეორე ფურგუნსაო, დადგენილ იქნა: ვინაიდან ხსენებული სირაძის ოჯახური და ნივთიერი მდ ომარეობა მისაღებია მხედველობაში, ეთხოვოს შეშის ეზოში მომუშავეთა კავშირის წევრებს დაშვებულ იქნას ამ შემთხვევაში მხოლოდ სირაძის ორი ფურგუნი სამუშაოზე რიგით სარგებლობით. დასასრულ რიგს გარეშე შემოაქვს განცხადება გიორგი ტატიანცს—ვაგზლის ბირჟის წევრს და ითხოვს ბირჟების მომწესრიგებელ კომისიის დადგენილების გადასინჯვას, რომლითაც მას უფლება არ აქვს ვაგზლის ბირჟაზე რიგში იმუშაოს ორი დროგი. კრებამ სასურველათ და კანონიერათ სცნო დაშვებულ იქნას ხსენებულ ბირჟაზე ტატიანცის მეორე დროგი რიგით სარგებლობის მინიჭებით. დიომიდე ქუჩულორია.

---

გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი:

ჩემ და ჩემი ამხანაგებთა შორის უთანხმოებაში, რომელიც გაგრძელდა ექვსი თვე, თავს ვთვლი დამნაშავედ. ყოველივე ნაბიჯები, გადადგმული ჩემ მიერ ამ მხრივ, იყო არა სასურველი და ეწინააღმდეგებოდა მუშათა ინტერესებს. ყოველივე ეს მომდიოდა მე შეუგნებლობით და არა განზრახვით, რაშიაც ეხლა მე სრულიად დარწმუნებული ვარ. ჩემი ამხანაგების მიერ ჩემდამი მიღებული ზომები იყო სწორი და უტყუარი, მათი შეურყეველი მტკიცე საპარალიან მოქმედებამ ნათლად დამანახვა ყოველივე, რამაც დიდი გავლენა იქონია ჩემზე, რის შემდეგ მე ვთვლი თავს მოვალედ ბოდიში მოვიხადო ამხანაგების წინაშე და ვსდებ პატიოსან სიტყვას, რომ შემდეგში არ იქნება გადადგმული ისეთი ნაბიჯები, რომელიც შელახავენ მუშათა ინტერესებს.

ვაცნობებ რა ამას, მადლობას ვუძღვნი ამხანაგებს დანაშაულის პატიებისთვის, სწორი გზაზე დაყენების და ისევ თავიანთ გვერდში სამუშაოზე დაშვებისთვის.

ჩაჩიბაიას ღვინის სარდაფში მომუშავე ანა ნანობაშვილი

## პროვინცია

ხურამი- 14 დეკემბერს სურამის მილიციის უფროსს გაჩეჩილაძეს შეატყობინეს, რომ ცნობილი ყაჩაღი პეტრე სამხარაძე თავის სახლში იმალებოდა. მილიციის უფროსი მილიციონერებით სწრაფათ მოემზადა და შემოარტყა ალყა ყაჩაღისა და მისი ძმების სახლებს. უფროსმა მთელი მილიცია გაყო სამ ჯგუფად. ერთმა ნაწილმა მილიციის უფროსის მეთაურობით ალყა შემოარტყა თვით ყაჩაღის სახლს, მეორე ნაწილმა მილიციის უფროსის თანაშემწის მეთაურობით ყაჩაღის ძმის სახლს, მესამე ნაწილი დ. აბაშიძის მეთაურობით გარს შემოერტყა ყაჩაღის უფროსის ძმის სახლს. ამის შემდეგ აბაშიძეს ყური მოუკრავს უფროსი ძმის სახლში ლაპარაკისათვის. ყაჩაღი თავის ძმებს უამბობდა თავის თავგადასავალს და მომავალი მოქმედების გეგმას. როცა აბაშიძე დარწმუნდა ყაჩაღის იქ ყოფნაში, მილიციის უფროსის ბრძანებით სხვა სახლებიდან მოხსნილ იქნა ალყა და ყველა მილიციელები გარს შემოერტყნენ მას. სახლში შევიდნენ მილიციის უფროსი თანაშემწით და აბაშიძით. პირველათ ძმებმა დამალეს და უარი განაცხადეს ყაჩაღის იქ ყოფნაზე, მაგრამ შემდეგ თვით გამოვარდა ყაჩაღი და მილიციის უფროსს მოკვლა მოუნდომა. სამხარაძე რამდენიმე ტყვიით იქვე იქნა განგმირული.

ყაჩაღის მოკვლამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია სურამის მცხოვრებლებში და განსაკუთრებით ებრაელებში, რომლებიც დიდათ შეწუხებული იყვნენ ამ პიროვნებისაგან. დიდ მადლობას უძღვნიან მილიციის უფროსს მცხოვრებლები მამაცური მოქმედებისათვის. დედის ერთა ნინა.


## განცხადებანი

ეკონომიური

ფეხსაცმელი

სადღესასწაულოდ მიღებულია დიდი პარტია იაფი ქალისა და ბავშვების ფეხსაცმელები, მაღაზია ნაზაროვისა. მიხეილის პრ. № 127 (333—1—1)

---

13 დეკემბერს

დაჰკარგე

ს. დ. მ. პ. საწევრო წიგნაკი № 2974 მოცემული მე 2 რაიონის კოლექტივის მიერ. მნახველს ვთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: დავითის მოედანი № 4, სანდრო ვარსიმაშვილს წინააღმდეგ შემთხვევაში ვაცხადებ გაუქმებულად. (3343—1—1)

---

ცეკვის სასწავლებელი

ი. ა. როზენბერგისა.

27 წელიწადია ასწავლის სპეციალურად: აზიურს, ხაბალეტო და ევროპიულ ცეკვებს. მეცადინეობა ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ჩქარი და კარგად შესწავლისათვის იძლევა სრულ პირობას. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა № 101. (3331-5-2)

---

იყიდება აფთიაქი

დიდძალი შტანგლაზებით და თავის მოწყობილობით, წამლების მხრივ საკმაოდ უზრუნველყოფილია, ეროზებს დაეთმობა ხელსაყრელ ფასებში. პირობების გაგება შეიძლება ქ. ახალ-სენაკში დათიკო ქობალავასთან. (3327—3—2)

---

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

---

სამკურნალო

(კავკ. წით. ჯვ. საოლქო სამმართველო) ჩერქეზ. ქ. № 77, იაკუბოვიჩის აფთ. გვერ. ავადმყოფ. მიღება ექიმ სპეციალისტების მიერ ყოველ დღე 9—2 საათამდე.

გ. ხანაძე 9—12. შინ. ვენერ. სიფილ.

ფ. ფეხნერი 10—11, საბავშ. შინაგ. სნ.

ი. ტეროგაკიმოვი 12—1. ვენერ. სიფილ.

ი. ბოკერია 10—11. ხირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო

ი. ტერგრიგორიანცი 1—2. შინაგ. საბავ.

ტ. განჟუმოვი 11—12. ქალთა საბებ. „606" და „914" ყოველ დღე.

რჩევა 10 მ. ოპერაციები მორიგებით. სამკურნალოს დირექტორი გ. გ. ხანაძე. ((2937—თ.)

---

ექიმი ნ. ლ. [illegible]

იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 1—2 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 8—9. მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. (თ.—3023

---

ექიმი ლ. ბ. ჯავახიშვილი.

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

---

ექიმი ქალი რ. ბ. [illegible] მედიცინის დოქტორი [illegible] სიფილისისა და ეპიდემიური მედიცინის [illegible] რეგულიურ კოლლეგიის [illegible] იღებს ყოველ დღე შინაგან [illegible] ავადმყოფთ [illegible] ხელოვნების წამლობა (606—914) დილით 10—12 [illegible] 5-6 [illegible] ნოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

---

ექიმი მ. ა. [illegible]

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და ხაზარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

---

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

ბ. ზ. მეჰრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჰლექების აპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. 3230—თ.

---

ქალ. ხამტრედიაში

ექიმი ა. ი. ჭეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606" და „914") ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

---

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი.

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28. (თ. 3065).

---

ექიმი ა. [illegible]

შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჟების ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გრინიილოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

---

ექიმი კ. ტუუშელაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

---

ოზურგეთში ექიმი ხ. ვ. აბაშიძე

მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჰლექის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით, ქ. სიმაშვილის სახლში. (კუშ. 582)

---

ექიმი ლ. ა. ხარაძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ავჭალის აუდიტორიის ახლო.

---

ვაგზლის კერძო სამკურნალო

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)

ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ ყოველ დღე 10—11 ნახ.

ექ. ვართანოვი—ვენერ. და კანის სნ ყოველდღე 1—2.

ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ და საიკუშერო ყოველ დღე 10—11.

ექ. ქალი იოხელიანი ქალთა სნეულ საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.

ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.

ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.

რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606" და „914" (2930—თ.)

---

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.

შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

---

ექიმი [illegible] ხახვილაძე

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, (ზემელის აფთიაქის ახლოს) (2795—თ.)

---

ექიმი ა. ლ. [illegible]

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914", მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პრ. სასტუმრო „ნოვ" პირდაპირ № 116 ტელ. 14—28

---

იყიდება

სხვადასხვა ზომის

განახლებული გალოშები

ფასი 250 მან.—400 მანეთამდე.

მიხეილის პრ. № 129, მაღაზია „რეზინის ხაძარე" იქვე ღებულობენ ძველ გალოშებს გადასაკეთებლად. (3329—2—2)